# ლელო

№ 94
(11 243)

27 – 30 ნოემბერი, 1998 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## საქართველოში თასის — ევროპაში საკლუბო ტურნირების მატჩები

იხ. მე-3-4 გვ.



### 1/8 ფინალის განმეორებითი მატჩები

*გუშინდლამდე თასის მერვედფინალში (მატჩები გაისად გაზაფხულზე გაიმართება) გასულები იყვნენ თბილისის „ვიტ-ჯორჯია“, „არსენალი“, „მერანი-91“, ბათუმის „დინამო“, წყალტუბოს „სამგურალი“ და რუსთავის „გორდა“. 26 ნოემბერს მათ რიცხვს მიემატნენ ქუთაისის „ტორპედო“ და თბილისის „ლოკომოტივი“.*

როგორც იცით, პირველი მერვედფინალური მატჩი ფოთის „კოლხეთი-1913“-სა და ქუთაისის „ტორპედოს“ შორის დამთავრდა ფოთელთა გამარჯვებით 3-1. ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრის ძირითადი დროც ასეთივე შედეგით აღინიშნა, ოღონდაც ქუთაისელთა სასარგებლოდ. დამატებით დროში მასპინძლებმა, ქუთათურმა ფეხბურთელებმა შეძლეს გამარჯვების გოლის გატანა 4-1.

ასევე ვერ გაარკვიეს დადგენილ 90 წუთში ურთიერთობა თბილისის რკინიგზელებმა და დინამოელებმა, ვინაიდან როგორც პირველ მატჩში, აქაც ნულოვანი ფრე აღინიშნა.



„დინამო“ (კიევი) – „პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი)

## ვის უნდა რცხვენოდეს, რომ მაია ლომინეიშვილს ფული არ მიუღია?

დღეს ბევრი სპორტსმენი და სპეციალისტია გამწარებული იმის გამო, რომ თვეობით არ მიუღიათ ხელფასები თუ სტიპენდიები, საპრიზო ფონდისთვის გამოყოფილი თანხაც კი. სწორედ სტიპენდიისა და საპრიზო თანხის მიღების გაუთავებელი მოლოდინით აღშფოთებულმა მიმართა ჩვენმა სახელოვანმა მოჭადრაკემ მაია ლომინეიშვილმა საქართველოს პარლამენტს, პირადად ზურაბ ჟვანიას დახმარებისათვის. პარლამენტის თავმჯდომარემ ეს განცხადება შესაბამის კომიტეტს დააწერა რეზოლუციით „სამარცხვინო ვითარებაა, გთხოვთ ჩაერიოთ“. როგორც „წესი“, ეს განცხადება რეზოლუციით სპორტის დეპარტამენტში ანუ იქ აღმოჩნდა, სადაც ლომინეიშვილს და მისნაირ სხვა მოვალეებს ვერ ისტუმრებენ იმ უბრალო მიზეზის გამო რომ... ფული არა აქვთ. ფულს კი ფინანსთა სამინისტრო და ხაზინა იძლევა. ასე რომ, ვფიქრობთ, საჩივარი არასწორი მისამართითაა გაგზავნილი.

მართლაც, ვის უნდა რცხვენოდეს, რომ სპორტის ამდენი ვალი აქვს სახელმწიფოს, სპორტის დეპარტამენტს კი სპორტსმენებისა და სპეციალისტების, საერთოდ, მთელი ამ დარგის მუშაკების?

## ჟორდანია კაბალური ხელშეკრულების გაუქმებას ცდილობს

ჯერ კიდევ ადრე, სანამ სფფ-ს პრეზიდენტად აირჩევდნენ, მერაბ ჟორდანიას არაერთხელ განუცხადებია, რომ წინა წლებში ფირმა „ტელესპორტთან“ დადებული ხელშეკრულებების პირობები, რომლებიც ითვალისწინებს ქართველი ფეხბურთელების მონაწილეობით საერთაშორისო მატჩების ტელეტრანსლაციის ექსკლუზიურ უფლებებს, მეტად კაბალურია. ასე იყო 1996 წლის ევროპის, მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატებისას, ასეა ახლაც – 1998 წლის დასაწყისში ფედერაციის ძველი ხელმძღვანელების მიერ გაფორმებული კონტრაქტით, რომელიც 2005 წლამდეა ძალამოსილი, ქართული მხარე, მერაბ ჟორდანიას მტკიცებით, იმ თანხის ნახევარსაც კი ვერ იღებს, რომელსაც უხდიან სხვა ქვეყნის ფედერაციებს. თუ რატომ მოხდა ასე და რა დგას ამის უკან, საზოგადოებრიობა, ვფიქრობთ, მალე შეიტყობს. ახლა კი შვეიცარიაში მერაბ ჟორდანიას განზრახული აქვს „ტელესპორტთან“ დადებული ბოლო ხელშეკრულების გადასინჯვა, გარდა ამისა, უეფას კონგრესზე წარმოდგენილი იქნება სფფ-ს გეგმის პროექტი, სადაც გათვალისწინებულია პრიორიტეტული პრობლემების მოგვარება.

## ...ის „დინამო“ აღარა ვარ!

**ლოკომოტივი (თბ.) – დინამო (თბ.) 0-0, 4-2 (პენალტებით).**

***ლოკომოტივი:*** **ჯანელიძე (დოლაბერიძე, 119), ბალაშვილი, კაციაშვილი, ბარნოვი, თარხნიშვილი, კოტორაშვილი, კ. მელქაძე, ნ. მინდიაშვილი, დაუშვილი, გოჩაშვილი, ღუდუშაური (ბაქრაძე, 46).**

***დინამო:*** **სოლოლაშვილი, ჭელაძე, არჩვაძე, დიდავა, მიქაძე, სახვაძე (ხომერიკი, 46), კიკნაძე, ალექსიძე, ცქიტიშვილი, მუჯირი, აშვეთია.**

***გააფრთხილეს:*** **კიკნაძე, ალექსიძე.**

***მსაჯი:*** **ოთარ გუნთაძე (ლანჩხუთი).**

ჩვენმა უცვლელმა ჩემპიონმა და რკინიგზელთა გუნდმა ერთმანეთში ამ სეზონში მესამე ნულოვანი ფრე ითამაშეს, ოღონდ უგოლო 270 წუთს პენალტების სერია მიაყოლეს, რის შედეგად ხურცილავას „დინამო“ მერვედფინალიდან გამოეთიშა თასის გათამაშებას, რაც ჩვენი ფლაგმანისთვის ყველაზე უარესი მაჩვენებელია. შემთხვევითობას ვერავინ მოიმიზეზებს — გუნდები მეოთხედფინალის საგზურს ხომ ორრაუნდიან ბრძოლაში ეცილებოდნენ ერთმანეთს და ლოკომოტიველებმა, რაოდენ ბანალურადაც უნდა ჟღერდეს, დამსახურებულად გაიმარჯვეს. ისინი უფრო მონდომებულნი და მიზანდასახულნი ჩანდნენ, პირველი სახიფათო მომენტიც მათ შექმნეს, როცა მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ სოლოლაშვილმა იმარჯვა — ფეხებში ჩაუვარდა ღუდუშაურს და ახლო მანძილიდან გოლის გატანა არ დაანება. დინამოელებმა მეტოქეს კიკნაძის შორეული დარტყმით უპასუხეს — ჯანელიძეს მოგერიებული ბურთი კარის ძელს მოხვდა და 26 მაისის სახელობის სტადიონის იავარქმნილი მინდორიც დატოვა.

მეორე ტაიმში „დინამო“ თითქოსდა გამოცოცხლდა, გააქტიურდა და აგრესიულობაც მოემატა — აღთქმული მიწიდან დაბრუნებული ხომერიკის თავურს (კუთხურის შედეგად) ლოკომოტიველთა ერთ-ერთი მცველი „შეეგება“ და კარამდე არ მიუშვა; შემდეგ ცქიტიშვილმა მეტოქის საჯარიმოს კუთხიდან ლონივრად „გაისროლა“ ცაციათი, მაგრამ ბურთმა ისეთი მიმართულება „აირჩია“, რომელიც ზუსტად ჯანელიძისკენ მიდიოდა და ლოკომოტიველთა მეკარეც არ შედრკა. ეს ორი სახიფათო მომენტი (მათ აშკარა საგოლეს ნაღდად ვერ ვუწოდებთ), ჩვენი მარად ჩემპიონის ბოლო გაბრძოლება გამოდგა (11-მეტრიანების სერიამდე). „ლოკომოტივმა“ მალე გაათანაბრა თამაში და ერთი-ორჯერ მწვავედაც შეუტია. დამატებით დროში უფრო სოლიდურად მასპინძლები გამოიყურებოდნენ, თუმცა, როგორც მთელი მატჩი, ბოლო 30 წუთიც დიდი ვერაფერი სანახავი გამოდგა. ეგ იყო რომ დაუშვილს ნანატრი გოლის გატანა შეეძლო, როცა ორ დინამოელ მცველს ცრუ მოძრაობით კი გასცდა, მაგრამ საჯარიმოში შეჭრილმა სოლოლაშვილს ველარ აჯობა. 13-14 მეტრიდან, და არცთუ ისე ძლიერად დარტყმული ბურთი, მეკარემ კუთხურზე მოიგერია. პენალტების სერია დინამოელებმა დაიწყეს... მატჩის გმირად კი ლევან დოლაბერიძე მოგვევლინა, რომელმაც ჯერ ცქიტიშვილს აჯობა, მერე დიდავას.

0-1 მუჯირი
1-1 მელქაძე
1-1 ცქიტიშვილი
2-1 ბალაშვილი
2-2 კიკნაძე
3-2 თარხნიშვილი
3-2 დიდავა
4-2 გოგოლაძე

დათო თავართქილაძე

### შთაბეჭდილებები პრესკონფერენციიდან

## სარაგბო პარადოქსები

- თურმე ირლანდიელებთან და რუმინელებთან შეხვედრის წინ ჩვენს გუნდში კაპიტნობისთვის მიდიოდა თავდაუზოგავი ბრძოლა და არა თამაშებისთვის უკეთ მოსამზადებლად.
- ჩვენი ნაკრების კაპიტანს უნდობლობა გამოუცხადეს იმ მოტივით, რომ სიგარეტს ეწევა, ამასთან, ნაკრებში თურმე 20 მოთამაშე, ფაქტობრივად, მთელი გუნდი, აბოლებს ფირმა სიგარეტს.
- საერთოდ, როგორც ირკვევა, საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ნაკრებში, დავესესხებით ადრინდელ ტერმინებს, „მორალურ-აღმზრდელობითი“ მუშაობა ჩაშლილი ყოფილა.
- ზოგიერთი თვლის, რომ ფრანგმა კონსულტანტმა ქართველებს თამაშის საკუთარი ხელწერა დაავიწყა და უცხოური მოახვია თავს...

26 ნოემბერს, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის მიერ ორგანიზებულ მორიგ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს შესანიშნავი „შემწეები“ გამოუჩნდა — მორაგბეთა ნაკრების გუნდისა და რაგბის კავშირის ხელმძღვანელობასთან ერთად დარბაზში ისხდნენ სპორტის ამ სახეობის სხვა სპეციალისტები, წარსულში ცნობილი მორაგბეები, გულშემატკივრები. ასე რომ, შეკითხვებს მხოლოდ ჟურნალისტები არ იძლეოდნენ და, ცხადია, პასუხებიც მხოლოდ იმათთვის არ იყო გამიზნული, ვინც შეკითხვა წამოჭრა. ჟურნალისტები რაგბის ღრმად მცოდნეთა კამათ-დიალოგზე უკეთესს რას ინატრებდნენ. მხედველობაში არ გვყავს მხოლოდ ერთი ჩვენი კოლეგა — ზაალ გიგინეიშვილი, რომელიც თამამად შეიძლება ჩაითვალოს რაგბის საუკეთესო სპეციალისტად, მეტიც, დღეს ყველა მას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ესოდენ ტევადი, ღრმაშინაარსიანი, ზედმიწევნით დახვეწილი ქართული სარაგბო ტერმინოლოგია გავაჩნია.



მოკლედ, პირველი სიტყვა აიღო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გურამ მოდებაძემ, მაგრამ მას შემდეგ, რაც წინდაწინ სთხოვეს, მარცხის გამართლებაზე ნაკლები ესაუბრა, შეეცადა ობიექტური ყოფილიყო. ნაკრების უფროსმა თავმდაბალი, გულიანი და ნაღდი პატრიოტი კაცის შთაბეჭდილება დატოვა, ამას დაუმატეთ მისი სხვა საუკეთესო ადამიანური ღირსებები და ცხადი გახდება თუ რატომ ვერ იყო იგი ბოლომდე გულახდილი. რაც მას ჟურნალისტებმა დააკლეს, თვით სპეციალისტებმა „დაბომბეს“, მათგან იგემა მწვავე შეკითხვების სუსხი. იყო მომენტი, როცა უკანდასახევი გზა აღარ იყო და ნაკრების თავკაცს მორიდებულად მაინც უნდა ეთქვა სათქმელი. ასე ჩაიხედა იმ დღეს დარბაზში მსხდომმა საზოგადოებრიობამ ჩვენი ეროვნული ნაკრების სამზარეულოში და, პირდაპირ უნდა ითქვას, იქ თურმე არც ჯეროვანი სისუფთავე სუფევს და არც მაღალზნეობრივი პრინციპებია აყვანილი სასურველ ხარისხში. მას შემდეგ კი, რაც კამათში და კითხვა-პასუხში რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი გია ჭუმბურიძე ჩაერთო, გამოიკვეთა აზრი, რომ საერთო ენაზე თურმე არც კავშირისა და ნაკრების ხელმძღვანელები ლაპარაკობენ, ხოლო სპეციალისტები, მთელ რიგ საკითხებში, არც ერთ მხარეს ეთანხმებიან, არც მეორეს.

აი, ასეთი ვითარების ფონზე ალბათ ძნელი იყო ირლანდიელებთან და რუმინელებთან მატჩებში წარმატებაზე ფიქრი. დარბაზში გაოცება გამოიწვია იმ ცნობამ, რომ უშუალოდ საპასუხისმგებლო მატჩის წინ შეცვალეს ნაკრების კაპიტანი, ანუ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გია რაფავა.

— გიას იმ ღამეს არ ეძინა, თეთრად გავათენეთ ქუჩაში სიარულით და სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა, „რატომ მაინცდამაინც დღეს?“ — თქვა გურამ მოდებაძემ.

მიზეზად კი პრესკონფერენციაზე ჯერ ის დასახელდა, რომ კაპიტანი თურმე სიგარეტს ეწევა, მერე ის, რომ 14 მოთამაშეს წამოუყენებია მისი გადაყენების მოთხოვნა და გამოკითხვაც ჩაუტარებიათ...

— კი მაგრამ, რატომ მაინცდამაინც ამ გადამწყვეტი მატჩების წინ მოახდინეთ ცვლილება? ასეთი შეკითხვა

იხ. მე-2 გვ.

## საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის ცნობა

26 ნოემბერს დეპარტამენტში გაიმართა მორიგი პრესკონფერენცია, რომელსაც სპორტის სპეციალისტებისა და ჟურნალისტების გარდა ესწრებოდნენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, სპორტის გულშემატკივრები. კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა აკაკი მეგრელაძემ დამსწრეთ გააცნო წინა ღამით ჩეხებთან ჩვენი ეროვნული ნაკრების თამაშის პერიპეტიები, რაც მას ტელეფონით შეუტყვია ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ როლანდ ხომერიკისგან. „ყოველგვარი შანსი დაიკარგა, ამის შემდეგ მხოლოდ IV ადგილისთვის თუ ვიბრძოლებთ“ – განაცხადა ა. მეგრელაძემ. სამაგიეროდ, მან ჟურნალისტებს სიხარულით ამცნო, რომ ბავშვთა საკალათბურთო ლიგამ თითქმის მთელი საქართველო ჩააბა ამ თამაშში და შესანიშნავი რეზერვი გვეზრდება.

გაიმართა ცხარე კამათი რაგბისა და მორაგბეთა პრობლემებზე (ვრცელი მასალა „ლელოს“ ამ ნომერში ქვეყნდება). წყალთა სახეობების კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა გივი ცქიტიშვილმა ჩვენში სპორტის ამ სახეობებში შექმნილ სავალალო ვითარებაზე გაამახვილა ყურადღება. ჟურნალისტებს ერთი არაორდინარული დოკუმენტი გააცნო დეპარტამენტის სპორტის სამმართველოს უფროსმა ამირან აბესაძემ. ჩვენს სახელოვან მოჭადრაკეს თურმე საქართველოს პარლამენტისთვის მიუმართავს... (ინფორმაცია ცალკე ქვეყნდება).

სააგენტო „ბუმათე“



### კალათბურთი • ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი

**შესარჩევი ტურნირი • „E“ ჯგუფი**

**ჩეხეთი – საქართველო 81:74 (32:42)**

*ჩეხეთი:* ბეჩკა (3), ჩუდეკი (6), კლაპეტეკი, ოკაჩი (15), სტანეკი (5), შტუხლი, ტრემლი (11), ვაჰალა (7), პ. ველში, ზიდეკი (34).

*საქართველო:* აბრამიძე (7), ბერძენიშვილი (3), ბოისა (3), ჩხეიძე (12), ჯაფარიძე (22), ქლენტი (5), გ. ნაცვლიშვილი, ვ. ნაცვლიშვილი (18), ვაშაკიძე (4).

*მსაჯები:* პოიგერი (ავსტრია), ნიკიჩი (ხორვატია).

მატჩი ჩეხეთის პროვინციულ ქალაქ ოპავაში ჩატარდა. სტუმრებმა იღბლიანად დაიწყეს და მიუხედავად იმისა, რომ მათ რიგებში გრიპმორეული ვლადიმერ სტეფანია არ იყო, ანგარიშში დაწინაურდნენ — შედარებით ტანმორჩილი ქართველები ფონს სწრაფი გარღვევებით გადიოდნენ. პირველი ტაიმი ჩვენებმა ათქულიანი უპირატესობით მოიგეს.

შეხვედრის მეორე ნახევარში სურათი კარდინალურად შეიცვალა. ტანმაღალმა ზიდეკმა აშკარად დაჯაბნა თავისი მეურვეები, რამაც მატჩის ბედი გადაწყვიტა კიდევაც.

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 6 | 5 | 1 | 496:396 | 11 |
| თურქეთი | 6 | 5 | 1 | 453:398 | 11 |
| ჩეხეთი | 6 | 4 | 2 | 452:462 | 10 |
| ლატვია | 6 | 2 | 4 | 472 469 | 8 |
| შვედეთი | 6 | 2 | 4 | 462:511 | 8 |
| საქართველო | 6 | 0 | 6 | 406:505 | 5 |

**დღეს დაფუძნდება**

**დღეს, 27 ნოემბერს, 12 საათზე, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საკონფერენციო დარბაზში (ი. ჭავჭავაძის 49ა) ჩატარდება სპორტული მედიცინის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა.**

«... სიყვარულს უშენებია»

# წალენჯიხა: სპორტკომპლექსი — ნაბომბარზე!

*სამოქალაქო ომის წლებში ურთიერთდაპირისპირებულთა შეიარაღებული შეტაკების შედეგად წალენჯიხაში დაინგრა განათლების, სპორტის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები. ცენტრალური სტადიონი და მისი შემოგარენი ორივე მხარის საჯირითო ადგილად და ბომბების და ყუმბარების სამიზნედ იქცა.*

პატარა, კოპწია ქალაქის ეს ნაწილი ჩონჩხად დარჩენილი შენობები, შემზარავი შესახედავი იყო. ცხადია, შეწყდა სპორტული ცხოვრებაც. თითქოს განელდა სურვილიც კი. სპორტული ღონისძიებებისთვის ვის ეცალა...

ასე გაგრძელება შეუძლებელი იყო. ცხოვრება თავისას ითხოვდა. რაიონის ახალდანიშნულმა გამგებელმა დავით ქანთარიამ აღდგენითი სამუშაოების პარალელურად სტადიონის კეთილმოწყობაც დაიწყო. საფეხბურთო კლუბი „სქური" ეროვნულ ჩემპიონატში კვლავ ჩაერთო. თანდათან სპორტის სხვა სახეობებმაც იწყო აღორძინება. დღეს წალენჯიხას ჰყავს არაერთი პერსპექტიული სპორტსმენი — ჭიდრაკში კონსტანტინე შანავა, ეკა გოგოხია, ირაკლი ჭანტურია, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში — გიორგი წურწუმია, კარატეში — გია ხარჩილავა, ლევან როგავა, ძმები მალხაზ და მიშიკო ზარქუები, გიორგი კვირკვია და დურმიშხან ჭკადუა. ბევრი სწავლობს თბილისში, ოლიმპიური რეზერვის სასწავლებელში. აქაური სპორტსმენები მონაწილეობენ ქვეყნის ჩემპიონატებსა და ტურნირებში. ტარდება შიდასარაიონო შეჯიბრებები სხვადასხვა სახეობაში, ასე რომ, სპორტულმა ცხოვრებამ წალენჯიხაში ახალი სიცოცხლე შეიძინა.

ამ დღეებში ერთი სასიამოვნო ფაქტის მოწმენი გავხდით. იქ, სადაც ბომბები და ნაღმები წვიმასავით ცვიოდა, აღიმართა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი, ისეთი, სადაც ნებისმიერი რანგის სპორტული შეჯიბრებების ჩატარება შეიძლება. კომპლექსი საოცრად ლამაზად არის გაშენებული. ყველგან და ყველაფერში იგრძნობა ოსტატის ხელი. სპორტისა და ტურიზმის განყოფილების გამგემ ვაჟა აკობიამ მითხრა: „როცა სპორტკომპლექსის მშენებლობას შევუდექით, ბევრმა ირონიულად დაიწყო ქირქილი — ჩვენი გამგებელი ისეთ რამეს ებლაუჭება, რაც არ გამოუვა; მეორენი კი ამბობდნენ: რა დროს სპორტკომპლექსის მშენებლობაა, როცა ქვეყანას ასე უჭირსო. თუ თანხაა, ასაშენებელის მეტი რა გვაქვსო. მიუხედავად ამისა, წელიწადნახევარში იმდენი გაკეთდა, რომ არა მგონია „ნაქებ კომუნისტურ პერიოდში იქნებოდა შესაძლებელი".

კომპლექსის გახსნის დღეს ბატონმა დათომ „ლელოსთვისაც" მოიცალა. „წალენჯიხაში რა უბედურებაც დატრიალდა, მთელმა საქართველომ იცის — თქვა მან. გლოვა და ვაივუის ძახილი არაფერს გვშველოდა. ასეთი ნგრევის შემდეგ ჩვენ ცხოვრება გავაგრძელეთ და ყველას ვაჩვენეთ, რომ შეიძლება სამომავლო საქმის კეთება. თითქმის ყოველ წელს ახალი ობიექტი ემატება რაიონს. აქამდე სკოლები იყო უპირველესი საზრუნავი. წლეულს კი ეს სპორტკომპლექსი ვუსახსოვრეთ მშობლიურ რაიონს. ამ ადგილას, სადაც ახლა ჩვენ ვზეიმობთ, ოცი წლის წინანდელი ოთხი ბეტონის ბოძი იყო აღმართული. პროექტიც კი ვერ ვიპოვეთ. 1997 წლის მეორე ნახევარში დავიწყეთ მუშაობა. საქმე ადგილიდან ერთბაშად დაიძრა, რაღაც კარგად აეწყო. ყველამ შეგვაშველა ხელი. სულ 30 ათასი ლარი დავხარჯეთ. მაგრამ იმდენი რამ გაკეთდა, რომ დარწმუნებით, დამთავრებაც არ გაგვიჭირდებოდა. წლეულს 15 ათასი კიდევ დავამატეთ. მართალია, ვალიც გვაქვს, მაგრამ არ მეშინია. მთავარია, საქმე გაკეთებულია, ვალს კი გავისტუმრებთ. ოპტიმისტურად განგვაწყო წალენჯიხელთა ბევრი კარგი მოქალაქის თანადგომამ. მოდიოდნენ ბიჭები და ფიზიკურად მუშაობდნენ. ვის როგორ შეეძლო, ისე გვეხმარებოდა. მართლია, ბევრიც დაგვცინოდა, ბევრიც გვაკრიტიკებდა „ფულის საკეთებელი საქმე გამონახესო". მაგრამ არავისთვის ყური არ გვიგდია, ვიცოდით, რასაც ვაკეთებდით და აწი მოცლილებმა იჭორაონ. ჩემს ქალაქს მშვენიერი სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი აქვს და უნდა ვიზრუნოთ მის დატვირთვაზე. რაც უფრო მეტ ხანს იქნება ღია მისი კარი, მით ნაკლები ნარკომანი, დამნაშავე, უსაქმური გვეყოლება. მეტსაც გეტყვით, ახალგაზრდობაში სპორტული აღნაგობა მქონდა, ვთამაშობდი ფეხბურთს, კალათბურთს, კარგად ვცეკვავდი. ბოლო წლებში წონა მომემატა. გადავწყვიტე ამ კომპლექსში მეც ვივარჯიშო და, ასე ვთქვათ, ფორმა აღვიდგინო, წონაში მაინც დავიკლებ. მინდა „ლელოს" მადლობა ვუთხრა ყურადღებისათვის. დარწმუნებული ვარ, აქ გამართულ შეჯიბრებებს თავის ფურცლებზე ფართოდ გააშუქებს".

სპორტკომპლექსის გახსნის ცერემონიალს ესწრებოდნენ: სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი, პრეზიდენტის რწმუნებული სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მხარეში ბონდო ჯიქია, მხარის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ ქითავა, სხვა ოფიციალური პირები.

წალენჯიხაში იმ დღეს მართლაც დიდი დღესასწაული იყო. ნაბომბარზე აღმართულ სპორტულ კომპლექსში გვიან ღამემდე არ დამცხრალა ყიჟინა. აი, თურმე რა შეძლებია ენთუზიაზმს, მონდომებას, თანადგომასა და სიყვარულს.

**ნუგზარ ქვანია,**
„ლელოს" საკ. კორ.
ქ. წალენჯიხა.

---

**კარატე-დო** საქართველოს პირველობა და ჩემპიონატი

# წესრიგიანთა ასპარეზობა

ეს შეჯიბრება თბილისში, ვერის ბაღში, კალათბურთის სასახლეში გაიმართა საქართველოს კარატე — დოს ეროვნული ფედერაციის, საქართველოს მოქალაქეთა კავშირისა და დედაქალაქის მერიის თაოსნობით.

მიუხედავად ლიმიტისა, მონაწილეთა რაოდენობამ 500 სპორტსმენს მიაღწია. პრაქტიკულად ყველა კუთხიდან და ფედერაციიდან. ასეთი ასპარეზობების მთავარი ამოცანაა სპორტის სახეობის პროპაგანდა, მაგრამ ამჯერად ეროვნული ნაკრების დაკომპლექტება და მსაჯთა კოლეგიის პოტენციალის წარმოჩენაც ზრდიდა მისდამი ინტერესს. როგორც ჩემპიონატის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა, საქართველოს შიტორიუ კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტმა, მე-5 დანის მფლობელმა თემურ რამიშვილმა განაცხადა, სპორტსმენთა დონე საერთაშორისო სტანდარტებს შეეფერებოდა, რაც ცხადად მეტყველებს იმ დიდ შრომაზე, რასაც საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია ახორციელებს.

მსაჯთა კოლეგიას ხელმძღვანელობდა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ვიცე-პრეზიდენტი, მე-5 დანის მფლობელი თემურ ცქიტიშვილი, რომელიც ჩემპიონატის საუკეთესო მსაჯად აღიარეს.

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული და საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციების პრეზიდენტმა კახა ბასილიამ, მადლობა გადაუხადა სპორტსმენებს და მსაჯებს ერთსულოვნებისთვის.

მონაწილეებს მიესალმა ქ. თბილისის ვიცე-მერი, ფედერაციის საპატიო წევრი გიგი წერეთელი და მერიის სპორტის სამმართველოს უფროსი ვლადიმერ კანკავა. ჩემპიონატის კომისარმა საქართველოს ვოდო ასოციაციის პრეზიდენტმა მე-5 დანის მფლობელმა თემურ ჯორჯაძემ შეაჯამა ჩემპიონატის შედეგები და სტუმრებთან ერთად ჩემპიონთა და პრიზიორთა დაჯილდოების საპატიო მისია შეასრულა. კ. ბასილიამ თქვა, რომ განიხილავენ მომავალში კარატეს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანის საკითხს.



ტურნირის საზეიმო გახსნა (მარცხნიდან): კახა ბასილია; სტუმრები — ვლადიმერ კანკავა, თემურ ჯორჯაძე, გიგი წერეთელი

**კვარცხლბეკი:**

***კუმიტე. გოგონები. 9-12 წ:*** 1. ნათია გიორგანაშვილი (თელავი), 2. ლოლიტა ზანგალაძე (თბილისი, ორივე — შოტოკანი), 3. ეთერ გავაშელი (თბილისი, კუფუკონი); ***13-15 წ:*** 1. მანანა ანასაშვილი (შოტოკანი), 2. მაკა მარქარაშვილი (გოჯუკაი), 3. მაკა ბითაძე (შოტოკანი, სამივე — თბილისი).

***კატა. ვაჟები. 14 წლამდე:*** 1. დავით ჭელიძე, 2. იუზა შენგელია, 3. დავით აბრამიშვილი (სამივე — შოტოკანი, სამივე — თბილისი); ***17 წლამდე:*** 1. სერგეი ბონდარენკო (კოფუკონი), 2. ლევან ნიკოლაძე (გოჯუკაი), 3. გიორგი გოლოშვილი (შოტოკანი, სამივე — თბილისი). ***გოგონები:*** 1. ქეთევან გოგბერაშვილი, 2. ეთერ გავაშელი (ორივე — კოფუკონი), 3. ნათია გიორგანაშვილი (შოტოკანი, სამივე — თბილისი).

***კუმიტე. ვაჟები: 9-წლიანები:*** 1. გიორგი კოხრეიძე (შოტოკანი), 2. ალეკო თოთოსაშვილი (შიტორიუ), 3. იუზა შენგელია (შოტოკანი) სამივე — ქუთაისი); ***10 წ:*** 1. ლევან გორელაშვილი (შოტოკანი), 2. გოგიტა იოსებაშვილი, 3. შალვა ებანოიძე (ორივე — შიტოროუ, სამივე — თბილისი): ***11 წ:*** 1. შალვა შერმაზანაშვილი, 2. ლერი გაბიჩვაძე (ორივე — შოტოკანი), 3. ელგუჯა ბერიძე (გოჯუკაია, სამივე — თბილისი); ინდივიდუალური მონაწილენი.



ორთაბრძოლა: გოჩა ანთია (მარცხნივ) — ზაზა ბერიშვილი

***13 წ:*** 1. ჯუმბერ ჯოჯუა, 2. აკაკი ემნაძე, 3. გიორგი ლომაია (სამივე — შოტოკანი), ***14 წ:*** 1. ავთანდილ ადეიშვილი (შოტოკანი), 2. ჯონი ნოზაძე (გოჯუკაი), 3. ვაჟა გეგენავა (შოტოკანი); ***15 წ:*** 1. ვასიკო ჯონიშვილი (კოფუკონი), 2. იონა ხუციშვილი, 3. გიორგი გორდაძე (ორივე — შოტოკანი). ***16 წ:*** 1. გარსევან ადამიანი, 2. გიორგი გოლაშვილი (ორივე — შოტოკანი), 3. ზვიად გაბიძინაშვილი (გოჟუკაი), 17 წ: 1. სერგეი ბონდარენკო (კოფუკონი), 2. იოსებ ხანთაძე (შოტოკანი), 3. ვიქტორ გაგუა (კოფუკონი).

***ინდივიდუალური პროგრამა. კატა. გოგონები:*** 1. ნაირა გიორგანაშვილი, 2. ქეთევან ქობალია, 3. ოლგა კორუნეცკაია (სამივე — შოტოკანი); ***კუმიტე:*** 1. გიორგანაშვილი, 2. მაია ევდოკიმოვა, 3. ქობალია; ***ვაჟები: -70 კგ:*** 1. კობა ცერცვაძე (კოფუკონი), 2. თენგიზ გელაშვილი, 3. გიორგი გოლაშვილი, და მერაბ ქემერტელაძე (სამივე — შოტოკანი), ***-75 კგ:*** 1. გიგი სააკაშვილი, 2. უჩა ტყემალაძე, 3. გიორგი რიჟამაძე (სამივე — შოტოკანი), ლაშა ბოლქვაძე (კოფუკონი), ***-80 კგ:*** 1. გოჩა ანთია (შოტოკანი), 2. დავით ხუხაშვილი (გოჯუკაია), 3. დავით მაჩაიძე და დიმიტრი მიქაბერიძე (ორივე — შოტოკანი„ ***+80 კგ:*** 1. დავით ქვანია (შოტოკანი), 2. არჩილ მაყაშვილი (შიტიროუ), 3. გარსევან ადამიანი (შოტოკანი), ***აბსოლუტური:*** 1. ქვანია, 2. გივი ნადირაძე (კოფუკონი), 3. რამაზ ჯანაშვილი. ***კატა.*** 1. მალხაზ ჭუმბურიძე (კოფუკანი), 2. გოჩა ვალიშვილი (გოჯუკაი), 3. შალვა მახვილაძე და ზურაბ ქოსაშვილი (ორივე — შოტოკანი), ***გუნდური:*** 1. შიტორიუ (კოფუკონი), 2. გოჯუკაია, 3. შოტოკანი (ქუთაისი). კუმიტე. ***-60 კგ:*** 1. გიორგი გორდაძე, 2. ლევან სადალაშვილი (ორივე — შოტოკანი), მიხეილ გაჩეჩილაძე (ვოდორიუ), 3. გოჩა ვალიშვილი (გოჯუკაი), ***-65 კგ:*** 1. მალხაზ ჭუმბურიძე, 2. ლაშა ორჯონიკიძე (ორივე — კოფუკონი), 3. ალექსანდრე დონაძე (გოდურიუ) და ზურაბ ბლიაძე (კოფუკონი).

---

ამ 15 წლის წინათ, თბილისის სპორტის სასახლეში მისულ მაღალ სტუმრებს, ვიდრე ისინი საგანგებო ფოიედან გავიდოდნენ და სამთავრობო ლოჟაში ადგილს დაიკავებდნენ, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციისა და ახალმშენებლობის მაკეტის ფოტოსურათებს აცნობდნენ. ეს კეთდებოდა მაღალჩინოსანთა შესამზადებლად პროექტის მხარდასაჭერად. უნდა ითქვას, რომ განაშენიანების ახალი პროექტი ყველას აღფრთოვანებას იწვევდა, მაგრამ... მერე ყველაფერი შეიცვალა. ნუთუ ის პროექტიც სამუდამო დავიწყებას მიეცა?



# სარაგბო პარადოქსები

*(პირველი გვერდიდან)*

ჟურნალისტებმაც არაერთხელ დასვეს, პასუხად კი — ისევ მიკიბულ-მოკიბული ამბები. იქნებ ჭეშმარიტება სულ სხვა რამეშია. მაგრამ ასეა თუ ისე, ნაკრები დაზარალდა და, როგორც ჩანს, დროულადაა მისაღები გადამჭრელი ზომები. ეს მით უფრო საშური საქმეა, რომ ქართველ ბორჯღალოსანთა ნაკრებს მსოფლიოში ჯერ კიდევ მაღალი რეიტინგის გუნდად იცნობენ და, არც იმას მალავენ, რომ ჩვენებს შესწევთ უნარი და შესაძლებლობები პლანეტის 20 რჩეულ გუნდს შორის დაიმკვიდრონ ადგილი, რაც უდავოდ დიდი აღიარება იქნება. თუმცა, ერთია პოტენცია და სხვაა მისი რეალიზაცია, ანუ შინ ყოველდღიური მიზანმიმართული მზადება. აი, აქ კი ნამდვილად სავალალოდ გვაქვს საქმე და ენა არავის მოუბრუნდება ვარჯიშის კარგი პირობები წამოაყვედროს ნაკრებს. მთავარი მაინც მოედანია. შესაძლებლობები არის, მაგრამ უწყებრივი ამბიციებია ჩახერგილი ეროვნული ინტერესების ხორცშესხმის გზაზე.

პრესკონფერენციაზე გაისმა იმის ბრალდებაც, რომ ნაკრების შემადგენლობის საქმეებში გარეშე პირები ერევიან, ხოლო კონკრეტული მატჩის წინ შემადგენლობას ე.წ. მწვრთნელთა საბჭო ადგენს, საბოლოო შედეგზე კი პასუხისმგებელი მთავარი მწვრთნელია. გურამ მოდებაძე ერიდება ამ თემაზე ვრცლად საუბარს და მოკლედ აცხადებს, მე ვარ ყველაფერში დამნაშავეო. ბრალის აღიარება და ყველაფრის საკუთარ თავზე აღება, ასეთ შემთხვევაში, შეიძლება ვაჟკაცობად მოჩანდეს, მაგრამ განა ეს შეღავათია, განა ეს უშველის საქმეს? ღრმად, ძალიან ღრმად უნდა ჩასწვდნენ, ნიუანსებშიც კი, ვისაც ეს ეხება, თორემ ვაღიაროთ ცოდვები და ვიყოთ ასე? თქვენ ის გვითხარით, — საქმეს, საქმეს რა ეშველება, საზოგადოებრიობა პარადოქსების დეგუსტატორის როლში დიდხანს ვერ დარჩება.

ორიოდე სიტყვა ნაკრების ფრანგ კონსულტანტზეც უნდა ითქვას. ამ კაცს ყველა ემადლიერება, არც იმ დამსახურებას უკარგავენ, რომ საფრანგეთში, დღეს, 15-მდე ჩვენგან წასული მორაგბე თამაშობს და ისინი იქ დიდ პატივში არიან. მაგრამ გაიჟღერა საყვედურმაც იმის თაობაზე, რომ მან ქართველებს დაავიწყა თამაშის საკუთარი ხელწერა და თავს მოახვია უცხოური. თუმცა, ასეთ საყვედურს გურამ მოდებაძე კატეგორიულად უარყოფს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მწვრთნელი და კონსულტანტი შეთანხმებულად მოქმედებენ.

აკი გითხარით, გურამ მოდებაძე ხათრიანი კაცია და ყველაფერს თავის თავზე იღებს.

მოკლედ, ბევრი რამ ითქვა, თანაც შედარებით ღიად, ვიდრე ეს სადმე ოფიციალურ თავყრილობაზე, შესაძლებელია თვით რაგბის კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე ითქმებოდა.

სიტყვამ მოიტანა: აპირებს თუ არა ხსენებული პრეზიდიუმი ეროვნულ ნაკრებში შექმნილი ვითარების გაანალიზებას? ჭირი ხომ თავს მაინც არ დამალავს...

თ. ბ.

# საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## XV ტურის სტატისტიკა

● ტურის *„მიღწევაა"* რუსთავის „გორდას" პირველი გამარჯვება სტუმრად. ამრიგად, ჩემპიონატში დარჩა ერთადერთი გუნდი ლანჩხუთის „გურია", რომელსაც სტუმრად არ მოუპოვებია გამარჯვება.

● ტურის *„მოვლენად"* შეიძლება მივიჩნიოთ „გურია" — „გორდას" მატჩი. ლანჩხუთელებმა მატჩი ჩაატარეს 9 კაცის შემადგენლობით.

● ტურის 8 მატჩში გატანილია 31 ბურთი (საშუალოდ ერთ მატჩში 3,87).

● მასპინძლებმა გაიტანეს 17 გოლი, სტუმრებმა — 14.
პირველ ნახევარში გატანილია 10, მეორეში — 21 გოლი.
ჩემპიონატის დაწყებიდან სულ გატანილია 337 ბურთი (საშუალოდ ერთ მატჩში 2,83).
მასპინძლებმა მოიგეს 3 მატჩი, ფრედ დამთავრდა 3, ხოლო სტუმრებმა გაიმარჯვეს ორ შეხვედრაში.



ჩემპიონატის დაწყებიდან მასპინძლებმა გაიმარჯვეს 54 მატჩში, რაც შეადგენს ჩატარებული მატჩების 45,5%, ფრედ დამთავრდა 32 შეხვედრა (26,8%), სტუმრებმა მოიგეს 33 (27,7%).

● შესრულებულია ერთი „ჰეთ-თრიკი", მისი ავტორია ლანჩხუთის „გურიას" ფეხბურთელი დ. მახარაძე.
ეს არის მე-4 „ჰეთ-თრიკი" ჩემპიონატში.

● ტურში შესრულდა 3 „დუბლი" (გვასალია — „კოლხეთი 1913", აშვეთია — „დინამო" თბ. და იონანიძე — „ტორპედო").

● ტურში დანიშნულია 5 პენალტი (ყველა რეალიზებულია). საერთოდ, ჩემპიონატის დაწყებიდან დანიშნულია 45 პენალტი (რეალიზებულია 35.)

● ტურში დაფიქსირდა 2 დიდი ანგარიშით მოგება. საერთოდ, ჩემპიონატის დაწყებიდან დაფიქსირებულია 28 დიდი ანგარიშით მოგება („დინამო" თბ — 7; „ტორპედო" — 5; „კოლხეთი 1913" — 4).

● ტურში 11 ფეხბურთელია გაფრთხილებული და 3 გაძევებული.
სულ ჩემპიონატის დაწყებიდან 16 ფეხბურთელია გაძევებული.

● ტურში 3 მეკარემ შეინახა თავისი კარი „მშრალად".

● **ბომბარდირები:**
მ. აშვეთია („დინამო" თბ.) — 13 გოლი.
ზ. იონანიძე („ტორპედო") — 13
ჰ. წივწივაძე („კოლხეთი-1913") — 11
ა. კაიდარაშვილი („დილა") — 9
დ. მახარაძე („გურია") — 9
ლ. ხომერიკი („დინამო" თბ.) — 8
მ. გვასალია („კოლხეთი-1913") — 8
დ. ჯანაშია („ტორპედო") — 8
ზ. ზირაქიშვილი („არსენალი") — 7
ვ. მაჭუტაძე („დინამო" ბთ.) — 7
ბ. შენგელია („დინამო" თბ.) — 6
თ. ტუღუში („დინამო" ბთ.) — 6
ბ. მეგრელაძე („ტორპედო") — 6
მ. ჩომახიძე („იბერია") — 6
ვ. გიგიაძე („იბერია") — 6
თ. ფაიქიძე („სამგურალი") — 6
ზ. ენდელაძე („ოდიში") — 6

ვეფხვია ჯალაღონია,
აფხაზეთი. სოფ. ფშაფი

# ესეც ასე!

ჩემპიონატის პირველი ნახევარი მიილია. ძლიერნი ამა ქვეყნისანი, რომლებიც ხან ცხრილის ბოლოში, ხანაც შუაში ტივტივებდნენ, ნელ-ნელა ჩვეულ პოზიციებზე დაბრუნდნენ. აუტსაიდერებმაც თავიანთი ადგილი მონახეს. მარტამდე გუნდები თავისუფალნი არიან. მათ ხელმძღვანელებს საშუალება ექნებათ ცივი გონებით თვალი გაავლონ განვლილ გზას და სამომავლოდ (ე.ი. სამარტოდ), შეძლებისდაგვარად, ან მიღწეულის შენარჩუნებაზე იზრუნონ, ან შედეგის გაუმჯობესებაზე. გაზაფხულზე კი, ატყდება ერთი ორომტრიალი, ვინ საევროპო ადგილებისათვის იბრძოლებს, ვინ — პირველ ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად.

ტურის განხილვას ბათუმის მატჩით დავიწყებთ. საერთოდ, აჭარლებმა ეს შემოდგომა არასტაბილურად ჩაატარეს. ამჯერად, ბათუმის „დინამომ" საკუთარ მინდორზე დაკარგა გამარჯვების შანსი. წინა ტურში, ზუგდიდში შერცხვენილმა დინამოელებმა ვერც ამჯერად იმარჯვეს და თბილისის „არსენალთან" ორი ქულა დაკარგეს. ის კი არადა, კინაღამ დამარცხდნენ. თავდაპირველად არმიელები დააწინაურა ზაზა ზირაქიშვილმა, მაგრამ მაჭაცარიამ ბათუმელებს ქულა გადაურჩინა.

უხვგოლიანი გამოდგა „დილა" — „მერანი-91"-ის მატჩი. გორელმა გულშემატკივრებმა 6 გოლი იხილეს. 90-ე წუთისთვის მასპინძლები 3-1 იგებდნენ და თავი ქუდში ეგონათ, მაგრამ მსაჯის მიერ დამატებულ კანონიერ წუთებში თბილისელებმა სასწაული მოახდინეს და გაათანაბრეს ანგარიში.

ზედიზედ ორი წარუმატებელი მატჩის შემდეგ გატყდა წყალტუბოს „სამგურალი". ეს არაა გასაკვირი, მათი მეტოქე ხომ თბილისის „დინამო" იყო. იმერლები, მართალია, შინ თამაშობდნენ, მაგრამ ჩემპიონებთან მაინც ვერაფერი გააწყვეს. თამაშის დაწყებიდან 10 წუთიც არ იყო გასული, რომ მიხეილ აშვეთიას უკვე ორი გოლი ჰქონდა გატანილი მასპინძელთა კარში. შესვენების შემდეგ დავით მუჯირმა ერთიც დაუმატა და დიდი ანგარიშით მოაგებინა გუნდს.

პირველი ჯგუფიდან მოკვეთას გადარჩენილი ლანჩხუთის „გურია" კვლავ იმსახურებდა დისკვალიფიკაციას. საქმე ისაა, რომ უხელფასობით გაწამებულმა „გურიის" ფეხბურთელებმა რუსთავის „გორდასთან" თამაშზე უარი განაცხადეს. გუნდის ხელმძღვანელობამ ზოგი ფეხბურთელი, როგორც იქნა, დაიყოლია თამაშზე. მატჩი გურულებმა ცხრა ფეხბურთელით ჩაატარეს. რუსთაველებს ნაკლული ლანჩხუთელების ძლევა არ გასჭირვებიათ. გურული დათო მახარაძის ჰეთ-თრიკს ოთხი გოლით უპასუხეს და თითქმის ნაჩუქარი სამი ქულით გაბრუნდნენ შინ.

როგორც იქნა ნავსი გატეხა თბილისის „ლოკომოტივმა" და ხუთ უგოლო ფრეს თსუ-სთან 3-1 მოგება მიაყოლა. არადა თამაში რკინიგზელ ფეხბურთელებისათვის არასასურველად დაიწყო. კლიმენტი წიტაიშვილმა სტუდენტები დააწინაურა. მაგრამ „ლოკომოტივი" გონს მოეგო და სამი გოლით უპასუხა გაბელიას გუნდს. „ლოკომოტივმა" ჩემპიონატის პირველი ნახევარი თბილისის „დინამოსთან" ერთად წაუგებლად დაამთავრა. ამასთან, ცხრაჯერ ნათამაშევი ფრეს წყალობით, არც ყველაზე მშვიდობისმოყვარე გუნდის სახელი დაანება ვინმეს. სტუდენტები კი, კვლავ სახიფათო ზონაში ტრიალებენ და გაზაფხულზე დიდი ჯაფა დაადგებათ ჯგუფში დასარჩენად.

ქვას ქვაზე არ ტოვებენ ქუთათურები: „ტორპედომ" უკანასკნელ სამ ტურში ცამეტი გოლი გაიტანა და მხოლოდ ერთი გაუშვა. ამჯერად იმერელთა მსხვერპლი ბოლნისის „სიონი" გახდა. მასპინძლებმა მეტოქე ოთხი გოლით „დაასაჩუქრეს" და ბოლნისში ისე გაისტუმრეს.

სამტრედიის „იბერიამ" თითქმის მოგებული თამაში, ფრედ დაამთავრა ფოთის „კოლხეთი-1913"-თან. 2-0 დაწინაურებული სამტრედიელები ელდარ გვასალიამ ორჯერ გააწბილა.

„ვიტ-ჯორჯიამ" ზუგდიდის „ოდიში" დაჯაბნა და მაზიაშვილის კინკილა გოლით სძლია. „ოდიშისგან" წინაალმდეგობას არც არავინ ელოდა. შეუძლებელია ცხრასაათიანი მგზავრობის შემდეგ გუნდმა თამაშში რაიმე მოახერხოს.

30 ნოემბერს „დინამო" თბ. — „კოლხეთი-1913" გამოტოვებული მატჩიც შედგება და პირველ წრეს საბოლოოდ დაესმება წერტილი.

მამუკა ნადირაძე

# ამ ნომინაციით გიორგი დემეტრაძე მეორეა



— თამაშიდან გატანილი გოლები.

— წუთების რაოდენობა, რომელიც მინდორზე დაჰყო ფეხბურთელმა. ამ ნომინაციით მეორე მაჩვენებელი იყოფა პირველზე და დადგინდა ფეხბურთელს გოლის გასატანად საშუალოდ რა დრო სჭირდება. ამ ანგარიშით რუსეთის ჩემპიონატში ყველაზე ეფექტური გამოდგა ზენიტელი ფორვარდის ალექსანდრ პანოვის გამოსვლა. მიუხედავად იმისა, რომ მან 24 მატჩში მიიღო მონაწილეობა, სულ 926 წუთი დაჰყო მინდორზე, ნაცვლად 2070-სა. ეს რიცხვი რომ გაიყოს მის მიერ გატანილ 8 ბურთზე, გამოდის, რომ პანოვს საშუალოდ ყოველ 116 წუთში გაუტანია გოლი. ეს შედეგი წუთით უკეთესია ვლადიკავკაზის ალანიელ გიორგი დემეტრაძის მაჩვენებელზე, რომელმაც 15 მატჩში 14 გოლის გატანა შეძლო. შეგახსენებთ, რომ აქედან 4 ბურთი მას პენალტით აქვს შეგდებული.

სულ მან 1168 წუთი ითამაშა და თამაშიდან ის 10 გოლი ყოველ მატჩში მის ანგარიშზე 0,66 გოლს უდრის.

# მეორე ჯგუფი

**დამთავრდა პირველი წრის მატჩები დასავლეთი ზონის „ა" და „ბ" ქვეჯგუფებში ცენტრალურ ზონაში. რაც შეეხება აღმოსავლეთს, იქ გათამაშება 30 ნოემბერს დასრულდება.**

## დასავლეთი ზონა

### „ა" ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულორი (ვანი) | 12 | 11 | 1 | 0 | 34-9 | 34 |
| მარგვეთი (ზესტ.) | 12 | 10 | 2 | 0 | 43-15 | 32 |
| მეშახტე (ტყიბ.) | 12 | 9 | 1 | 2 | 28-13 | 28 |
| დინამო (გაგრა) | 12 | 9 | 0 | 3 | 26-12 | 24 |
| სამგურალი-2 (წყალტ.) | 12 | 7 | 2 | 3 | 25-20 | 23 |
| ოკეანე (სამტრ.) | 12 | 6 | 1 | 5 | 14-20 | 19 |
| რიონი (ქუთ.) | 12 | 4 | 1 | 7 | 17-17 | 13 |
| რაჭა (ამბრ.) | 12 | 4 | 0 | 8 | 20-26 | 12 |
| ტორპედო-2 (ქუთ.) | 12 | 3 | 1 | 8 | 13-21 | 10 |
| საირმე (ბაღდ.) | 12 | 3 | 1 | 8 | 7-21 | 7 |
| ჩიხურა (საჩხ.) | 12 | 2 | 2 | 8 | 15-32 | 5 |
| იბერია-2 (სამტრ.) | 12 | 1 | 1 | 10 | 10-28 | 4 |
| მაღაროელი (ჭიათ.) | 12 | 1 | 3 | 8 | 18-36 | 3 |

### „ბ" ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი (ხობი) | 12 | 9 | 2 | 1 | 37-7 | 29 |
| სქური (წალენჯ.) | 12 | 8 | 1 | 3 | 34-23 | 25 |
| მერცხალი (ოზურგ.) | 12 | 7 | 1 | 4 | 23-14 | 22 |
| ფაზისი (ფოთი) | 12 | 7 | 1 | 4 | 19-10 | 22 |
| მუქურა (ქობულ.) | 12 | 7 | 1 | 4 | 23-19 | 22 |
| ენგური (განმუხ.) | 12 | 6 | 3 | 3 | 25-19 | 21 |
| კოლეჯი (ბათ.) | 12 | 6 | 3 | 3 | 16-11 | 21 |
| სამეგრელო (ჩხოროწ.) | 12 | 4 | 3 | 5 | 16-16 | 15 |
| ეგრისი (სენაკი) | 12 | 3 | 4 | 5 | 16-20 | 13 |
| ბახმარო (ჩოხატ.) | 12 | 3 | 2 | 7 | 10-23 | 11 |
| ოდიში-2 (ზუგ.) | 12 | 2 | 4 | 6 | 13-22 | 10 |
| სალხინო (მარტვ.) | 12 | 2 | 0 | 10 | 12-43 | 6 |
| კოლხეთი-2 (ფოთი) | 12 | 1 | 1 | 10 | 10-34 | 4 |

## ცენტრალური ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო-2 (თბ.) | 13 | 11 | 0 | 2 | 34-12 | 33 |
| ცხინვალი | 13 | 10 | 1 | 2 | 38-10 | 28 |
| ლოკომოტივი-2(თბ.) | 13 | 9 | 1 | 3 | 38-17 | 28 |
| იბერია (ქარ.) | 13 | 9 | 1 | 3 | 25-9 | 28 |
| იმერია (ხაშ.) | 13 | 8 | 3 | 2 | 35-15 | 27 |
| განთიადი (კასპი) | 13 | 6 | 3 | 4 | 21-21 | 21 |
| ცხუმი (სოხ.) | 13 | 5 | 2 | 6 | 27-21 | 17 |
| იბერია (თბ.) | 13 | 5 | 1 | 7 | 31-30 | 16 |
| საუ (თბ.) | 13 | 4 | 3 | 6 | 19-23 | 15 |
| მესხეთი (ახალც.) | 13 | 4 | 3 | 6 | 22-28 | 15 |
| თორი (ბორჯ.) | 13 | 4 | 1 | 8 | 17-23 | 13 |
| დილა-2 (გორი) | 13 | 2 | 2 | 9 | 21-34 | 8 |
| ჟინერი (ჟინვ.) | 13 | 1 | 2 | 10 | 18-73 | 5 |

## აღმოსავლეთი ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| შსს აკადემია (თბ.) | 13 | 11 | 1 | 1 | 32-5 | 34 |
| ყვარელი | 13 | 10 | 3 | 0 | 27-6 | 33 |
| ლარწყალი (ძვ. ანაგა) | 13 | 9 | 4 | 0 | 29-10 | 31 |
| ხალიბი (რუსთ.) | 13 | 8 | 0 | 5 | 21-15 | 24 |
| არსენალი-2 (თბ.) | 13 | 7 | 2 | 4 | 22-12 | 23 |
| დინამო-3 (თბ.) | 13 | 7 | 1 | 5 | 16-19 | 22 |
| ალგეთი (მარნ.) | 14 | 7 | 0 | 7 | 26-20 | 21 |
| ზოოვეტი (თბ.) | 13 | 6 | 2 | 5 | 28-24 | 20 |
| ჭაბუკიანი (ლაგოდ.) | 13 | 7 | 1 | 5 | 21-16 | 19 |
| კახეთი (თელავი) | 12 | 5 | 3 | 4 | 18-16 | 18 |
| უნივ. „იბერია" (თბ.) | 13 | 3 | 3 | 7 | 14-20 | 12 |
| სამგორი | 12 | 1 | 3 | 8 | 13-25 | 6 |
| მრეტები (თბ.) | 13 | 1 | 1 | 11 | 12-31 | 4 |
| ალაზანი (გურჯაანი) | 13 | 1 | 0 | 12 | 11-42 | 3 |
| ქანაგკო (სართიჭ.) | 13 | 1 | 2 | 10 | 10-38 | 2 |

შენიშვნა: „დინამოს" (გაგრა), „საირმეს", „მაღაროელს", „ცხინვალს", „ჭაბუკიანს" და „ქანაგკოს" მსაჯების ფიზიკური შეურაცხყოფის გამო დაკლებული აქვთ 3-3 ქულა.

# შედეგი ქინსა და შემართებას მოაქვს

**ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში: დინამო-2 (თბილისი) — ფლორა (ტალინი) 2-1 (1-1).**

*დინამო-2:* ნიკურაძე, რუხაძე, შაშიაშვილი, საჯაია, აბრამიძე, ო. გველესიანი, ხიზანიშვილი (დ. ტყებუჩავა, 86), ლ. ბურდული (ი. შენგელია, 81), აფციაური (გონჩაროვი, 46), გ. მიქაძე, ვ. გაგუა (ი. ვაშაკიძე, 46).
*ფლორა:* ტოჰვერი (კაალმა, 46), ალონენი, კირსი, სავიუკი, როობა, (ალასი, 80), შვეცი, სმირნოვი, ვიკმიაე, კრისტალი, კიერი (ო'კონელ-ბრონინი, 70), ოპერი.
*გოლები:* 1-0 ხიზანიშვილი (42), 1-1 ვიკმიაე (44), 2-1 რუხაძე (67).
*გააფრთხილეს:* კიერი, როობა, გველესიანი.
*მსაჯი:* ალექსანდრე კრიჭაშვილი (საქართველო).

ალბათ, ბევრს აეჭვებდა, რომ ჩვენი ქვეყნის უცვლელი ჩემპიონის დუბლშემადგენლობა ფაქტობრივად ესტონეთის ეროვნულ ნაკრებს გაუმკლავდებოდა. განვლილმა მატჩმა ოპტიმიზმი ჩაგვისახა და დაგვანახვა, რომ ქართულ ფეხბურთში დაუშრეტელი რეზერვებია, მთავარია, როგორ ეფექტურად გამოვიყენებთ მას.

16-17 წლის ბიჭებმა ესტონელებთან თამაშში კარგი გამოცდილება მიიღეს, უთუოდ ირწმუნეს საკუთარი ძალისა, თვისება, რომელიც ესოდენ სჭირდება ფეხბურთელს ამ ასაკში.

თავად მატჩი საინტერესო გამოდგა, თავდაპირველად, ინიციატივას მასპინძლები ფლობდნენ. ქართველი ჭაბუკები მეტად აგრესიულად, სპორტული ქინით მოქმედებდნენ, ამას კი, ეტყობა, ესტონელები არ მოელოდნენ. მათ თითქმის ოცი წუთი დასჭირდათ, მეტოქისათვის კონტრთამაში რომ შეეთავაზებინათ. ფრედ დამთავრებული პირველი ტაიმის შემდეგ, მატჩის მეორე ნახევარში სტუმრები თბილისელთა კართან დასახლდნენ, მაგრამ გამარჯვების გოლის გატანა ვერ მოახერხეს. უფრო მეტიც, ტაიმის შუაწელში ესტონელებმა მეტოქის კონტრშეტევა წესების დარღვევით აღკვეთეს და თორნიკე რუხაძემ მშვენიერი საჯარიმო დარტყმით მეკარე ტოჰვერი გაწბილებული დატოვა — 2-1.

# ჯეფრი ჰერსტს რაინდის ორდენი გადაეცა

მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ფინალურ მატჩებში ერთადერთი ჰეთ-თრიკი ჯეფრი ჰერსტს ეკუთვნის.



*1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში გფრ-ის ნაკრები 6 წუთს მსოფლიო ჩემპიონი იყო... ჰერსტს ნახტომში გააქვს საპასუხო ბურთი გერმანელთა კარში.*
*ფოტო „ლელოს" არქივიდან.*

ინგლისის დედოფალმა ელისაბედ II-ემ ინგლისურ ფეხბურთში განსაკუთრებული დამსახურების გამო რაინდის ორდენი გადასცა.

— რაინდად ჩემმა ხელდასმამ მშვენივრად ჩაიარა — განაცხადა ლაურეატმა — ახალი წრე დასრულდა. 1966 წელს მსოფლიო ჩემპიონატში რომ გავიმარჯვეთ, დედოფალმა დაგვაჯილდოვა.

მაშინ, 32 წლის წინათ დედოფალმა ელისაბედ II-ემ ინგლისის ნაკრების ყველა წევრს ოქროს მედლები გადასცა. რაც შეეხება რაინდის ორდენს, იგი ჯეფრი ჰერსტს გარდა, იმდროინდელი ნაკრების კიდევ ორ წევრს აქვს: მთავარ მწვრთნელ ალფ (ალფრედ) რამსეის და ნახევარმცველ ბობი ჩარლტონს.

ახლა ჯეფრი ჰერსტი ინგლისში მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ჩატარების კამპანიას ხელმძღვანელობს.

# უეფას თასი

UEFA CUP

## მერვედფინალი

### პირველი მატჩები

***გრასჰოპერსი (შვეიცარია) — ბორდო საფრანგეთი 3-3***
0-1 ვილტორდი (5), 0-2 მიკუ (19), 1-2 ყაველაშვილი (20), 2-2 თურქილმაზი (32), 3-2 კომზეტი (53), 3-3 ვილტორდი (73).

***გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია) — პარმა (იტალია) 1-1***
0-1 ბალბო (51), 1-1 უოლესი (68).

***ბოლონია (იტალია) — ბეტისი (ესპანეთი) 4-1***
1-0 ფონტოლანი (25), 2-0 კოლივანოვი (53), 3-0 ერიბერტო (59), 3-1 სარანდონა (62), 4-1 ფონტოლანი (74).

***რომა (იტალია) — ციურიხი (შვეიცარია) 1-0***
1-0 ტოტი (90, პენ.).

***მონაკო (საფრანგეთი) — მარსელი (საფრანგეთი) 2-2***
0-1 პირესი (10), 1-1 ტრეზეგე (17, პენ), 1-2 კამარა (39), 2-2 ჟიული (56).

***სოსიედადი (ესპანეთი) — ატლეტიკო (ესპანეთი) 2-1***
0-1 ჟუნინიო (3), 1-1 კოვაჩევიჩი (45), 2-1 ფრესნედოსო (85, საკ. კარში).

***სელტა (ესპანეთი) — ლივერპული (ინგლისი) 3-1***
0-1 ოუენი (35), 1-1 მოსტოვოი (49), 2-1 კარპინი (56), 3-1 გუდელი (90).

***ლიონი (საფრანგეთი) — ბრიუგე (ბელგია) 1-0***
1-0 ბაკი (45).

# ჩემპიონთა ლიგა V ტური

**«A» ჯგუფი**

**ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — პორტუ (პორტუგალია) 2-1**

1-0 გოგიჩი (17), 2-0 ჯორჯევიჩი (55), 2-1 ზაჰოვიჩი (76).

**აიაქსი (ჰოლანდია) — კროაცია (ხორვატია) 0-1**

სიმიჩი (68)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-5 | 10 |
| კროაცია | 5 | 2 | 1 | 2 | 4-6 | 7 |
| აიაქსი | 5 | 2 | 1 | 2 | 4-3 | 7 |
| პორტუ | 5 | 1 | 1 | 3 | 8-9 | 4 |

**«B» ჯგუფი**

**რუსენბორგი (ნორვეგია) — ბილბაო (ესპანეთი) 2-1**

1-0, 2-0 სორენსენი (2,50), 2-1 ხორხე პერესი (90)

**გალათასარაი (თურქეთი) — იუვენტუსი (იტალია) — გადაიდო.**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-6 | 8 |
| გალათასარაი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-6 | 7 |
| იუვენტუსი | 4 | 0 | 4 | 0 | 4-4 | 4 |
| ბილბაო | 5 | 0 | 3 | 2 | 4-6 | 3 |

**«C» ჯგუფი**

**სპარტაკი (რუსეთი) — შტურმი (ავსტრია) 0-0**

**ინტერი (იტალია) — რეალი (ესპანეთი) 3-1**

1-0 სამორანო (50), 1-1 ზეედორფი (58), 2-1, 3-1 რ. ბაჯო (86,90).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-5 | 10 |
| რეალი | 5 | 3 | 0 | 2 | 15-7 | 9 |
| სპარტაკი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-4 | 8 |
| შტურმი | 5 | 0 | 1 | 4 | 2-14 | 1 |

**«D» ჯგუფი**

**ბარსელონა (ესპანეთი) — მანჩ. იუნაიტედი (ინგლისი) 3-3**

1-0 ანდერსონი (1), 1-1 იორკი (25), 1-2 კოული (52), 2-2 რივალდო (56), 2-3 იორკი (67), 3-3 რივალდო (72).

**ბაიერნი (გერმანია) — ბრონდბიუ (დანია) 2-0**

1-0 იანკერი (51), 2-0 ბასლერი (57).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-5 | 10 |
| მანჩესტერი | 5 | 2 | 3 | 0 | 19-10 | 9 |
| ბარსელონა | 5 | 1 | 2 | 2 | 9-9 | 5 |
| ბრონდბიუ | 5 | 1 | 0 | 4 | 4-16 | 3 |

**«E» ჯგუფი**

**არსენალი (ინგლისი) — ლანსი (საფრანგეთი) 0-1**

დებევი (73).

**დინამო (უკრაინა) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 2-1**

0-1 ლაგონიკაკისი (35), 1-1 რებროვი (82), 2-1 ბასინასი (89, საკ. კარში).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 5 | 2 | 2 | 1 | 8-6 | 8 |
| ლანსი | 5 | 2 | 2 | 1 | 4-3 | 8 |
| პანათინაიკოსი | 5 | 2 | 0 | 3 | 5-6 | 6 |
| არსენალი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-7 | 5 |

**«F» ჯგუფი**

**ბენფიკა (პორტუგალია) — კაიზერსლაუტერნი (გერმანია) 2-1**

1-1 ნუნო გომეში (31), 2-0 ჟოაო პინტუ (69), 2-1 რიშე (90).

**ჰიკ (ფინეთი) — ეინდჰოვენი (ჰოლანდია) 1-3**

0-1, 0-2 ვან ნისტელროი (29, 67), 1-2 ლეჰკოსუო (70, პენ.), 1-3 ვან ნისტელროი (81, პენ.)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაიზერსლაუტ. | 5 | 3 | 1 | 1 | 7-4 | 10 |
| ბენფიკა | 5 | 2 | 1 | 2 | 6-7 | 7 |
| ეინდჰოვენი | 5 | 2 | 0 | 3 | 8-9 | 6 |
| ჰიკ | 5 | 1 | 2 | 2 | 6-7 | 5 |



# ანრის მალე აუხდება ოცნება

ტიერი ანრის ჯერ კიდევ საფრანგეთი-98-ის დაწყებამდე სურდა ლონდონის „არსენალში“ გადასვლა, რომელსაც მისი თანამემამულე არსენ ვენგერი წვრთნის. ალბიონელებმა, მაშინ „მონაკოს“ 6,5 მილიონი დოლარი შეაძლიეს ტიერი ანრიში, მაგრამ მონაკოელებმა ქვას თავი შეუშვირეს და არ დათმეს თავიანთი მეტად იმედისმომცემი გარემარბი. მონდიალზე კი ანრიმ კიდევ ერთხელ გაიბრწყინა და ეროვნულ გუნდს 3 გატანილი გოლითაც შეეშველა მსოფლიო თასის მოპოვებაში. ამან, რასაკვირველია, ინგლისელებს კიდევ უფრო მეტი მადა აღუძრა ანრის შესაძენად, მაგრამ „მონაკოს“ და საფრანგეთის ნაკრებს 21 წლის ფორვარდის ფასი ერთი-ორად გაიზარდა. „არსენალი“ ცოტათი შეუყოვნდა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ანრიში გადახდილი ფული გადაყრილი არ იქნებოდა და ყაბულს იყო და არის „მონაკოს“ მიერ ანრიზე დადებული საფასურის გადახდაში.

თვით ტიერი ანრი კი მეტად განაწყენდა კლუბის ხელმძღვანელობაზე და გულშემატკივართა იმ ნაწილზე, რომლებმაც მშობლიური კლუბის მიმართ (ანრი „მონაკოს“ აღზრდილია) არაპატრიოტიზმში დასდეს ბრალი. „მონაკოში“ ვთამაშობ და ამით ყველაფერი ნათქვამია. თუმცა ჩემი მიერ დაუფარავად გამოთქმულ სურვილს „არსენალში“ გადასვლის თაობაზე ბევრმა კუდი გამოაბა, მაგრამ „მონაკოს“ მაისურით თამაში ჩემთვის ისევე საპატიოა, როგორც ეროვნული მაისურით. აქ ფული არაფერ შუაშია, მხოლოდ წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისით მსურს ლონდონის „არსენალში“ ვითამაშო“ — ამბობს ტიერი ანრი.

ახლა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ანრი საშობაო არდადეგებამდე ლონდონელთა კლუბში აღმოჩნდება. „მონაკო“ გონს მოეგო — სეზონის დამთავრებისთანავე (1999 წლის ზაფხულში) ანრისთან კონტრაქტის ვადა იწურება, რომლის შემდეგ „არსენალს“ უკვე მუქთად შეუძლია ხელში ჩაიგდოს ტიერი. მაგრამ ეს ალბათ არ მოხდება და ტიერი ანრი ემანუელ პეტის, ნიკოლა ანელკას და პატრიკ ვიერას შემდეგ საფრანგეთის ნაკრების მეოთხე ფეხბურთელი აღმოჩნდება ლონდონის „არსენალში“.

## შეიქმნა ელიტარული კლუბების ასოციაცია

*ევროპის უძლიერესი კლუბების წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს უეფას პროექტს ჩემპიონთა ლიგის მონაწილეების 32 გუნდამდე გაზრდის შესახებ, რომლებიც 8 ჯგუფად დაიყოფიან (4-4 თითოეულში). ამავე დროს, ისინი შემდგომშიც მტკიცედ დაიცავენ საკუთარ ინტერესებს.*

*ამ 14 უძლიერეს ევროპულ კლუბებს შორის აღმოჩნდნენ: „იუვენტუსი“, „მილანი“, „ინტერი“ (სამივე — იტალია), მადრიდის „რეალი“, „ბარსელონა“ (ორივე — ესპანეთი), მიუნხენის „ბაიერნი“, დორტმუნდის „ბორუსია“ (ორივე — გერმანია), ამსტერდამის „აიაქსი“, „პსვ ეინდჰოვენი“ (ორივე — ჰოლანდია), მარსელის „ოლიმპიკი“, „პარი სენ-ჟერმენი“ (ორივე — საფრანგეთი), „ლივერპული“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ორივე — ინგლისი) და „პორტუ“ (პორტუგალია). ამ კლუბებმა ასოციაცია ჩამოაყალიბეს, თავისი სხდომებითა და ყრილობებით, მის ხელმძღვანელად კი მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტი ლორენცო სანსი აირჩიეს.*

*— ჩვენ ძლიერი ორგანიზაცია ვართ. ამ 14 კლუბის ანგარიშზე 70 ევროპული წოდებაა — განაცხადა სანსმა.*

*ამიერიდან ევროპულ ტურნირებში გამარჯვებული კლუბების შემოსავალი მკვეთრად გაიზრდება. ასე მაგალითად, თუ მადრიდის „რეალმა“ ჩემპიონთა ლიგის ბოლო გათამაშებაში გამარჯვებისთვის 2 მილიარდი და 100 მილიონი პესეტი მიიღო, მიმდინარე გათამაშებაში გამარჯვებული უკვე 5 მილიარდს მიიღებს. თითოეული კლუბი, რომელიც ამ ახალშექმნილ ლიგაში ითამაშებს, მარტო მონაწილეობისთვის 3 მილიონ დოლარს მიიღებს, თითოეული მატჩის მოგება 400 ათასი დოლარი ეღირება, 200 ათასი დოლარი კი — ყოველი ფრე. გარდა ამისა, ტურნირში გამარჯვებული ტელეგადაცემების უფლების გაყიდვითაც დიდ თანხას მიიღებს.*

# ფაბიენი, ფრანგთა სექსუალური მეკარე

**როცა ტურისტები მონაკოს ღირსშესანიშნაობებს ეცნობიან, საქვეყნოდ ცნობილი ბოტანიკური ბაღისა და ოკეანოგრაფიის მუზეუმთან ერთად ყველას აინტერესებს იხილოს სახელგანთქმული ფეხბურთელები — მონდიალი-98-ში გამოჩენილი მსოფლიო ჩემპიონები, ცხადია, პირველ რიგში, ისეთი კოლორიტული ფიგურის, როგორიცაა მეკარე ფაბიენ ბარტეზი.**



### დოსიე

***დაიბადა 1971 წლის 28 ივნისს საფრანგეთის პროვინციულ ქალაქ ლავლანეტში. თამაშობდა „ტულუზაში“ (1986-1992), „ოლიმპიკში“ (1992-1995); „მონაკოში“ (ამჟამად). გარდა იმისა, რომ 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონია, ჩემპიონთა ლიგაში მარსელის „ოლიმპიკის“ შემადგენლობაში გამარჯვებულიცაა (1992/93), ხოლო შარშან საფრანგეთის პირველობაში ოქროს მედლები მოიპოვა. ნაკრების კარი დაიცვა 22 მატჩში.***

### „აღარა ვარ პატარა!“

ფაბიენი მშვენივრად მოემზადა საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატისათვის. მას სიმხნევეს ის გარემოებაც უმატებდა, რომ უმაღლესი კლასის მცველების უკან უხდებოდა გარჯა — ლილიან ტიურამი, ლორან ბლანი, მარსელ დესაი, ვინ არ იოცნებებდა ასეთ პარტნიორებზე. შედეგმაც არ დააყოვნა: მონდიალის 7 მატჩში ფრანგების კარში მხოლოდ ორი გოლი გავიდა, ისიც ერთი — პენალტიდან. თუმცა, მიუხედავად ამისა, თავად ბარტეზი ყველგან აცხადებს: „მერე რა, რომ მსოფლიო ჩემპიონები გავხდით. ამან არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს ჩვენში თვითდამშვიდება. ახლაა ყველაზე მთავარი — მწვერვალზე გაჩერება უფრო ძნელია, ვიდრე მასზე ასვლა.

ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, ძალიან მოულოდნელი კი იყო, რომ ნაკრების კარი მწვრთნელებმა ბარტეზის ანდეს, ვინაიდან ემე ჟაკეს ჰყავდა უფრო თავგამოჩენილი მეკარე — ბერნარ ლამა. მაგრამ რად გინდა, ამ უკანასკნელს იმდენი პრობლემა შეექმნა, მტრისას: ანაშის მოწევისათვის ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია, კონფლიქტი „პარი სენ-ჟერმენის“ კლუბის მეპატრონეებთან, სხვა გუნდის გაჭიანურებული ძებნა. და მაინც, ჟაკეს სჯეროდა ლამასი და ყველგან აცხადებდა, რომ იგი ნაკრების №1 მეკარედ რჩება. როცა ბარტეზის ჰკითხეს, როგორ უყურებ შექმნილ სიტუაციასო, იგი წყნარად პასუხობდა — არასოდეს მივეკუთვნებოდი „ლაქლაქის“ მოყვარულ ადამიანთა რიცხვს. დაე, „საქმემან შენმან გამოგაჩინოს“. ამასთან, ფაბიენი მუხლჩაუხრელად ვარჯიშობდა და ბოლოს და ბოლოს მწვრთნელმა სწორედ მას ანდო ადგილი კარში. როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, ჟაკე არ შემცდარა — ბარტეზიმ ნდობა ათმაგად გაამართლა.

ნათქვამის საილუსტრაციოდ გავიხსენოთ მონდიალი-98. იტალიელებთან მატჩისშემდგომი პენალტების სერია. ბიქსენთ ლიზარაზიუს დარტყმა გაუცუდდა და უზარმაზარი „სტად დე ფრანსი“ მთლად გაინაბა, ახლა უკვე მხოლოდ ფაბიენს შეეძლო ფრანგთა ხსნა და მანაც ამ კრიტიკულ სიტუაციაში საოცარი თავდაჭერილობა და სიმამაცე გამოავლინა — დემეტრიო ალბერტინის დარტყმა გააუვნებელყო. ბარტეზი სხვა მატჩებშიც შეუდარებელი იყო, ვთქვათ, ნახევარფინალურ და ფინალურ შეხვედრებში, როცა ჩემპიონატის მასპინძლები უმცირესობაში რჩებოდნენ. გავიხსენოთ თუნდაც ის მომენტი, როცა მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა მსოფლიოს რჩეული ფეხბურთელი რონალდო — როგორი თავგამოდებით გაისარჯა მაშინ ფაბიენი. აი, მაშინ კი შვებით ამოისუნთქეს ფრანგთა გულშემატკივრებმა — ასეთი ალმაფრენით მოთამაშე მეკარეს ძნელად თუ ვინმე გაუტანს ბურთსო.

ახლა ბარტეზი უთუოდ ნაკრების ძირითადი მეკარეა. ლამას, რომელიც მასზე 8 წლით უფროსია, მხოლოდ მაშინ უძახებენ გუნდში, როცა ფაბიენი ამა თუ იმ მიზეზის გამო არ თამაშობს. ისე, ჟურნალისტები რომ ძალიან უცერემონიო ხალხია, არახალია. ჰოდა, როცა ფაბიენს ყელში ამოუყვანეს და ჰკითხეს — ფინალური მატჩის შემდეგ გახარებული რატომ გადაეხვიე მაინცდამაინც გუნდის მესამე მეკარეს ლიონელ შარბონიეს და არა ლამასო, — წამოიძახა: „ლამას რეპლიკებმა — ყოჩაღ, პატარავ! — ნერვებზე მომშალა. ამიერიდან ყველამ დაიმახსოვროს, რომ პატარა აღარა ვარ. ჩემს წარმატებებს „ვაბრალებ“ ბერჟეროს (ნაკრების მეკარეების მწვრთნელი — ავტ.), შარბონიეს და ჟაკეს“.

### მელოტი, მაგრამ სექსუალური

ბარტეზი ბუნებით ოპტიმისტი ადამიანია. მეკარისათვის სიმაღლით მაინცდამაინც არ გამოირჩევა. ამბობენ, როცა ბავშვი იყო და მასზე მაღალი გოგონა მოეწონებოდა, სკამზე აძვრებოდა საკოცნელად. როცა სიმელოტე შეეპარა, თმა სამართებლით გადაიპარსა და მას შემდეგ სულ ასე გამოიყურება. მიუხედავად ამისა, ქალები მას ეთაყვანებიან — მელოტია, მაგრამ საკმაოდ სექსუალურიაო. აკი დადის კიდევაც ხმები, რომ საყვარლად ჰყავს ისეთი თვალწარმტაცი სუპერმოდელი, როგორიცაა კანადელი ლინდა ევანგელისტა (იხ. ფოტო). როცა ამის შესახებ ჰკითხეს, მსოფლიო ჩემპიონმა ფრანგ ჟურნალისტებს უთხრა:

— ვისი რა საქმეა, ვისთან დავდივარ და ფეხბურთისაგან თავისუფალ დროს როგორ ვატარებ. მოდით, ნუ „ძვრებით“ ჩემს ინტიმურ ცხოვრებაში, თორემ ერთ-ორ ადამიანს უკვე გავუსწორდი მუშტებით... ვერ გამიგია, რატომ გიკვირთ, როცა ქალთა საზოგადოებაში მხედავთ. ჩვენ, ნაკრების მოთამაშეები, ორი თვე, სანამ მონდიალი მიმდინარეობდა, კარჩაკეტილი ვცხოვრობდით. დამთავრდა თუ არა ჩემპიონატი და დარაბებს მიღმა ამოვჩნდით, ბუნებრივია, დასვენება მოგვინდა.

### „მიყვარს „მონაკო“, მაგრამ ესპანეთზეც არ ვიტყოდი უარს“

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, ბუნებრივია, ბარტეზიმ მრავალი კლუბიდან მიიღო მოწვევა. მიუხედავად ამისა, იგი დიდხანს აცხადებდა, რომ მშობლიურ „მონაკოდან“ წასვლას არ აპირებდა. თუმცა ამ ბოლო დროს აქა-იქ სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებში გაჩნდა ცნობები, რომ ფაბიენი ყურადღებით ეკიდება მის ესპანეთში გადასვლის საკითხს. აი, რა განუცხადა მან ამას წინათ ფრანგულ ჟურნალ „პრიმას“ რეპორტიორს: „მართალია, ფრანგი ვარ, მაგრამ შთამომავლობით ჩემი გვარი ესპანეთიდანაა. ტულუზადან, სადაც ახლობლები ცხოვრობენ, კატალონიამდე სულ რაღაც 300 კილომეტრია. იქნებ ღირდეს ჩემი გადასვლა „ბარსელონაში“ ან, ვთქვათ, „რეალში“? ასეა თუ ისე, ამ სეზონს, ალბათ, „მონაკოში“ ჩავამთავრებ, მერე კი, ვნახოთ. მოკლედ, მიყვარს „მონაკო“, მაგრამ ესპანეთზეც არ ვიტყოდი უარს“.



მონდიალი-98. ფინალი. საფრანგეთი—ბრაზილია.
ბარტეზის [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დელ პიერო იმედს არ კარგავს

8 ნოემბერს, თავის დაბადების დღეს, 24 წელი რომ შეუსრულდა, იტალიის ფეხბურთის ვარსკვლავი ალესანდრო დელ პიერო ისე მძიმედ დაშავდა, რომ სულ მცირე, მარტამდე ვერ ითამაშებს. პროფესორმა კარლო ვიტორიმ, რომელიც დელ პიეროს მკურნალობს, განაცხადა, რომ ტრავმის ძირითადი მიზეზია უკიდურესი გადაღლა — ბოლო ოთხი წლის განმავლობაში იგი ხომ თითქმის განუწყვეტლად თამაშობდა. აქ „თავისი სიტყვა“ მეტად უხეშმა მცველებმაც თქვეს, რომლებიც უმოწყალოდ ურტყამენ არცთუ ათლეტურ დელ პიეროს.

● ***ალესანდრო, თქვენ, ეტყობა, ძალიან ცუდ ხასიათზე ხართ.***

— ახლა იმდენად ცუდზე აღარა ვარ. ის მახარებს, რომ თუნდაც ჩემპიონატის მიწურულს გავალ მინდორზე. ექიმების თავდაპირველი პროგნოზი გაცილებით უფრო პესიმისტური იყო — 6-8 თვე მკურნალობა. თითქმის საბოლოოდ დავეცი სულით. როცა მითხრეს, რომ თუ მკურნალობა და გამოჯანსაღება ნორმალურად წარიმართა, უკვე მარტში თამაში შემეძლება, ეს ცნობა მივიღე, როგორც უველაზე კარგი მთელ ჩემს ცხოვრებაში.

● ***როგორ შეხვდა თქვენს ტრავმას „იუვენტუსის“ ხელმძღვანელობა? ზოგჯერ ხომ ცდილობენ თავიდან მოიცილონ ის მოთამაშეები, რომლებიც ძალიან ხშირად ავადმყოფობენ.***

— ეს საფრთხე არ მემუქრება. ანელი (კლუბის მეპატრონე) საავადმყოფოში მეწვია და დამარწმუნა, რომ კვლავინდებურად კლუბის წამყვან მოთამაშედ მთვლის. უფრო მეტიც, ამ დღეებში ჩემთან ახალი კონტრაქტი გააფორმეს 2003 წლიდან. ისე რომ, ჩემი მომავალი არ მაღელვებს.

● ***თქვენ ამ დაშავებისთვის მაინცდამაინც „მარჯვე დრო ვერ აირჩიეთ“, გუნდს ხომ თქვენი მხარდაჭერა მოაკლდა.***

— სწორია, ასეა. არ გინდა მაინცდამაინც დაბადების დღეს დაშავდე?

● ***ამას კი არ ვგულისხმობდი, არამედ ჩემპიონთა ლიგას, სადაც „იუვენტუსმა“ უთქვენოდ უნდა ითამაშოს.***

— ჩემთვის უსიამოვნოა ამის აღიარება, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის ამ გათამაშებაში კლუბს მაინცდამაინც ვერ გამოვადექი. თუ გასულ სეზონში მე რეკორდი დავამყარე — 10 გოლი გავიტანე, ამ ახალ გათამაშებაში 4 მატჩში — ვერც ერთი. ისე რომ, ჩემი აზრით, გუნდი უჩემოდაც მიაღწევს მიზანს. გადამწყვეტ მატჩში, თუ საქმე, ცხადია, იქამდე მივიდა, მეც დავეხმარები ჩემიანებს. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი გაზაფხულზე განახლდება — იტალიის ნაკრები უჩემოდაც მშვენივრად ითამაშებს.

● ***სამაგიეროდ იტალიის პირველობაზე, სადაც „იუვენტუსს“ ჩემპიონობის შესანარჩუნებლად მძიმე ბრძოლა მოელის, მატჩების მთელ ნახევარს გამოტოვებთ.***

— ვფიქრობ, რომ „ფიორენტინას“ ლიდერობა მაინც დროებითი მოვლენაა. რაც შეეხება „იუვენტუსს“, მას დელ პიეროს გარდაც ჰყავს მოთამაშეები. ჩვენ უარს არ ვაცხადებთ ჩემპიონობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაზე. ჩემი არყოფნა ამ მხრივ არაფერს ცვლის.

● ***თქვენ თავისუფალი დრო გქონდათ, რომელიც ადრე არასოდეს გქონიათ. როგორ აპირებთ მის გამოყენებას?***

— დიახ, ასეა, ნებისმიერ უსიამოვნებას რაღაც დადებითიც მოაქვს. მე, უნდა გითხრათ, კონკრეტულად არაფერი დამიგეგმია, უმნიშვნელო საქმეებით ვკლავ დროს, რის გაკეთებაც ადრე, უბრალოდ, არ შემეძლო: ვიდეოფილმებს ვუყურებ, ვისმენ მუსიკას. ახლა ჩემი მკურნალობა სრულიად მარტივია: მუხლზე ყინულს მადებენ და მირჩევენ იგი არ ვამოძრაო. როცა ნებას მომცემენ, ცოტ-ცოტათი სიარულს დავიწყებ. პირდაპირ გეტყვით, დღეებს ვითვლი, სანამ კვლავ შევუდგები ვარჯიშს. ერთ ადგილზე ჯდომით კი ძალიან დავიღალე.



# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

● გერმანულმა ტელეარხმა დფს-მ მოაწყო თავისი მაყურებლების სატელეფონო გამოკითხვა: მათ უნდა დაესახელებინათ ბუნდესლიგის ყველაზე ლამაზი ფეხბურთელი. ყველაზე მეტმა — 15-მა პროცენტმა ასეთად მიიჩნია ლევერკუზენის თავდამსხმელი ულფ კირსტენი. ვარაუდით, რესპონდენტთა უმეტესობას ქალები შეადგენდნენ. მეორე ადგილი ხმების 13 პროცენტით მიენიჭა მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველ მეხმეტ შოლს, მესამე — 10 პროცენტით — ბოხუმელ მაურიციო გაუდინოს.

როგორც მიმომხილველები დაასკვნიან, გერმანელ მაყურებლებს უფრო სამხრეთული ტიპის მამაკაცები მოსწონთ, რადგან სამივე რჩეული შავგვრემანია, ამასთან, შოლი მამით თურქია, დედით კი გერმანელი. რაც შეეხება გაუდინოს, რომელმაც მართალია, მთელი თავისი კარიერა ბუნდესლიგაში გაატარა და გერმანიის მოქალაქეა, მაგრამ იგი ხომ ტომით ნამდვილი იტალიელია.

● **ვალენტინ ივანოვმა, მოსკოვის „ტორპედოს“ მესვეურების აზრით, გუნდისათვის მძიმე მომენტში შეასრულა თავისი მისია — მან უმაღლეს დივიზიონში ადგილი შეუნარჩუნა. ახლა მწვრთნელს მადლობა გამოუცხადეს და სწორედ დაბადების დღეს (19 ნოემბერს 64 წელი შეუსრულდა) კვლავ „ტორპედოს“ საპატიო პრეზიდენტის თანამდებობა დაუბრუნეს.**

**ვინ იქნება გუნდის მთავარი მწვრთნელი: გიორგი იარცევი, რომელსაც მოსკოვის „დინამოში“ დარჩენა აღარ სურს, თუ ელისტის „ურალანის“ ახლანდელი ხელმძღვანელი ვიტალი შევჩენკო? ეს საკითხი უახლოეს დღეებში გადაწყდება.**

● ინგლისის „ჩელსის“ ერთ-ერთი მწვრთნელი დეკემბრის დასაწყისში სასამართლოში წარსდგება არასრულწლოვანის გაუპატიურების გამო. 41 წლის რიკს ბრალად ედება 16 წლამდე გოგონას ნამუსის ახდა, რომელიც თებერვალში ჩაიდინა, აგრეთვე „უდიერი მიზნით“ მასზე დაცემა წლევანდელ იანვარსა და თებერვალში. „ჩელსის“ ახლანდელი მწვრთნელი რიკსი ადრე ლონდონის „არსენალში“ თამაშობდა. მას აქვს ჩატარებული 17 მატჩი ინგლისის ეროვნულ ნაკრებში.

# კონფედერაციის თასი გადატანილია

**ფიფამ გაითვალისწინა მრავალრიცხოვანი პროტესტები კონფედერაციის თასის ფრიად მოუხერხებელ დროს (8-20 იანვარს) გამართვის გამო და დააკმაყოფილა მონაწილეთა თხოვნა. ახლა დაინიშნა შეჯიბრების ჩატარების საბოლოო თარიღი: 28 ივლისიდან 8 აგვისტომდე.**

**თამაშები ჩატარდება მექსიკის, ორ ქალაქში: მეხიკოსა და გვადალახარაში. მეხიკოში ითამაშებენ „ა“ ჯგუფში განაწილებული ნაკრებები: მექსიკა, ბოლივია, ეგვიპტე, საუდის არაბეთი, გვადალახარაში „ბ“ ჯგუფში კი — ბრაზილია, აშშ, საფრანგეთი, ახალი ზელანდია.**

**ცხადია, „ბ“ ჯგუფის შემადგენლობა გაცილებით უფრო ძლიერია. კერძოდ, აქ მოსალოდნელია მსოფლიო ჩემპიონების — ფრანგებისა და ვიცე-ჩემპიონების — ბრაზილიელების მკაცრი მეტოქეობა, მაშინ, როცა მასპინძლები — მექსიკელები, წინასწარი ვარაუდით, დაუბრკოლებლად უნდა გავიდნენ ფინალში.**

# თქვენთვის, ფეხბურთის გულშემატკივრებო!

## ჰოლანდიის ჩემპიონატი

### I ტური

ჰერენვენი – ტვენტე 1-0
სიტარდი – ფეიენოორდი 1-2
ვალვაიკი – ნაიმეგენი 0-1
ალკმაარი – სპარტა 2-0
კამბური – ეინდჰოვენი 1-1
მაასტრიხტი – გრააფსხაპი 1-2
ვიტესი – როდა 1-0
ბრედა – უტრეხტი 2-4
აიაქსი – ტილბურგი 2-0

### II ტური

როდა – აიაქსი 0-2
ეინდჰოვენი – ჰერენვენი 1-2
ტილბურგი – სიტარდი 1-0
ალკმაარი – ვიტესი 0-0
ნაიმეგენი – ბრედა 1-1
ფეინოორდი – მაასტრიხტი 3-1
უტრეხტი – კამბური 3-0
ტვენტე – სპარტა 1-0
გრააფსხაპი – ვალვაიკი გადაიდო

### III ტური

სპარტა – როდა 1-1
ფეიენოორდი – გრააფსხაპი 5-0
ვალვაიკი – ეინდჰოვენი 3-4
ჰერენვენი – ტილბურგი 2-2
ბრედა – ტვენტე 1-1
მაასტრიხტი – ულტრეხტი 1-4
კამბური – ნაიმეგენი 2-2
სიტარდი – ვიტესი 0-2
აიაქსი – ალკმაარი 5-1

### IV ტური

გრააფსხაპი – ნაიმეგენი 2-1
უტრეხტი – აიაქსი 2-2
ტვენტე – ვალვაიკი 1-0
როდა – ბრედა 3-1
ეინდჰოვენი – მაასტრიხტი 2-0
სიტარდი – აზ. 67 (ალკმაარი) 2-2
ტილბურგი – სპარტა 3-2
ვიტესი – კამბური 4-2
ჰერენვენი – ფეიენოორდი 0-1

### V ტური

ვალვაიკი – ჰერენვენი 0-4
ულტრეხტი – სიტარდი 1-1
სპარტა – ბრედა 0-2
აიაქსი – გრააფსხაპი 1-1
მაასტრიხტი – ვიტესი 4-2
ალკმაარი – ტილბურგი 1-1
ნაიმეგენი – როდა 3-1
კამბური – ტვენტე 0-2
ეინდჰოვენი – ფეიენოორდი 1-2

### VI ტური

სიტარდი – აიაქსი 1-0
ტილბურგი – კამბური 2-1
ჰერენვენი – უტრეხტი 1-0
ტვენტე – მაასტრიხტი 2-1
ვიტესი – ვალვაიკი 2-0
ბრედა – ალკმაარი 1-1
გრააფსხაპი – სპარტა 0-3
დანარჩენი შეხვედრები არ გამართულა

### VII ტური

აიაქსი – ბრედა 1-0
ალკმაარი – ეინდჰოვენი 4-1
უტრეხტი – ტვენტე 0-3
კამბური – გრააფსხაპი 2-0
როდა – ვალვაიკი 0-0
ნაიმეგენი – ჰერენვენი 2-0
სიტარდი – მაასტრიხტი 0-1
ფეიენოორდი – ტილბურგი 3-2
ვიტესი – სპარტა 5-1

### VIII ტური

ჰერენვენი – ბრედა 2-1
სპარტა – აიაქსი 2-0
უტრეხტი – ნაიმეგენი 2-3
ვალვაიკი – ალკმაარი 2-3
ტვენტე – ფეიენოორდი 1-1
გრააფსხაპი – ვიტესი 0-0
მაასტრიხტი – კამბური 3-0
ეინდჰოვენი – სიტარდი 2-0
ტილბურგი – როდა 1-2

### IX ტური

აიაქსი – ტვენტე 5-0
გრააფსხაპი – უტრეხტი 0-0
ნაიმეგენი – ეინდჰოვენი 2-2
ფეიენოორდი – როდა 0-0
ვიტესი – ტილბურგი 3-2
ბრედა – მაასტრიხტი 2-0
სიტარდი – სპარტა 2-1
კამბური – ვალვაიკი 1-1
ალკმაარი – ჰერენვენი 1-3

### X ტური

როდა – სიტარდი 5-3
ნაიმეგენი – ალკმაარი 2-2
მაასტრიხტი – ვალვაიკი 1-0
ტვენტე – გრააფსხაპი 2-1
აიაქსი – კამბური 4-0
ტილბურგი – ეინდჰოვენი 4-2
უტრეხტი – ფეიენოორდი 2-3
სპარტა – ჰერენვენი 3-1
ბრედა – ვიტესი – გადაიდო

### XI ტური

ვალვაიკი – გრააფსხაპი 1-2
უტრეხტი – როდა 0-3
ნაიმეგენი – აიაქსი 0-4
კამბური – ბრედა 3-1
ჰერენვენი – ვიტესი 2-1
მაასტრიხტი – ტილბურგი 1-1
ეინდჰოვენი – სპარტა 4-0
ფეიენოორდი – ალკმაარი 1-2
სიტარდი – ტვენტე 0-3

### XII ტური

ჰერენვენი – სიტარდი 2-0
ტვენტე – ეინდჰოვენი 2-2
სპარტა – მაასტრიხტი 0-0
ალკმაარი – აიაქსი 1-1
ვიტესი – ნაიმეგენი 1-0
გრააფსხაპი – ტილბურგი 2-2
როდა – კამბური 1-0
ვალვაიკი – უტრეხტი 2-5
ბრედა – ფეიენოორდი 1-1

### XIII ტური

კამბური – ალკმაარი 0-0
მაასტრიხტი – ფეიენოორდი 1-3
სიტარდი – გრააფსხაპი 0-0
ტვენტე – ჰერენვენი 1-2
აიაქსი – როდა 2-1
ბრედა – ნაიმეგენი 1-2
ეინდჰოვენი – ვიტესი 3-1
ტილბურგი – ვალვაიკი 3-0
უტრეხტი – სპარტა გადაიდო

### XIV ტური

გრააფსხაპი – როდა 2-3
მაასტრიხტი – ალკმაარი 2-1
ნაიმეგენი – ტვენტე 2-2
ტილბურგი – ბრედა 2-1
ვიტესი – უტრეხტი 2-0
ვალვაიკი – სპარტა 5-1
ფეიენოორდი – სიტარდი 4-1
აიაქსი – ეინდჰოვენი 2-2
ჰერენვენი – კამბური 1-1

### XV ტური

ბრედა – ფორტუნა 1-1
ფეიენოორდი – კამბერი 4-0
როდა – ვიტესი 3-1
გრააფსხაპი – ჰერენვენი 1-1
ტვენტე – ვილემ II 5-1
მაასტრიხტი – ნაიმეგენი 0-3
ეინდჰოვენი – უტრეხტი 5-0
ვაალვიკი – აიაქსი 0-1
სპარტა – ალკმაირი 0-0

# ტრაპატონიმ მოარჯულა ედმუნდო

## იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა

იტალიის ჩემპიონატი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ეშხში შევიდა“. 10 ტურის შემდეგ მიმომხილველებს საშუალება მიეცათ გააკეთონ თუნდაც ძალიან წინასწარი, ძალიან პირობითი დასკვნები, ზოგჯერ თამამიც კი, რადგან სერია „A“-ს მატჩებს (და თანაც დიდი გულისყურით) ფეხბურთის მთელი სამყარო ადევნებს თვალს.

მეათე ტურში „ინტერთან“ მეტად მნიშვნელოვანი მოგების (3-1) შემდეგ საკმაოდ მტკიცედ 21 ქულით ლიდერობს „ფიორენტინა“. როგორც კარგად მოგეხსენებათ, ქვეყნის 1997-98 წლის პირველობაზე მას ჩემპიონობისათვის ბრძოლაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, მეხუთე ადგილს დასჯერდა და გულშემატკივრებს თავი მხოლოდ ორი ლეგიონერის შედეგით დაამახსოვრა: ბატისტუტამ 21 გოლი გაიტანა, ლუის ოლივეირამ კი — 16. ასეთი შედეგი არავითარ შემთხვევაში არ აძლევდა ხელს ფლორენციელთა კლუბის მესვეურებს, თუმცა, მათ ისიც კარგად იციან, რომ ფინანსური თვალსაზრისით ვერც „იუვენტუსს“ შეედრებიან, ვერც „მილანს“ და „ინტერს“. „ფიორენტინას“ ახალ სეზონში სათავეში ჩაუდგა განთქმული ჯოვანი ტრაპატონი, რომლის მტკიცე რეპუტაცია, ცოტა არ იყოს, შეირყა მიუნხენის „ბაიერნში“ განცდილი მარცხის შემდეგ. „ფიორენტინას“ შემადგენლობა წინა სეზონთან შედარებით დიდად არ შეცვლილა, მაგრამ ამაღლდა სათამაშო დისციპლინა, ამასთან, ტრაპატონიმ ისეთი მოუწესრიგებელი მოთამაშის მორჯულებაც კი შეძლო, როგორიც ბრაზილიელი ედმუნდოა. საინტერესოა, რომ ორი პირველი მატჩის მოგების შემდეგ „ფიორენტინა“ სტუმრად შეხვდა „მილანს“, მასაც ასევე ქულათა მაქსიმუმი ჰქონდა. რაც არ უნდა ილაპარაკონ მასპინძლების გერმანელ მეკარე იენს ლემანის სუსტ თამაშზე, იმას მაინც ვერავინ უარყოფს, რომ ფლორენციელებს აშკარა უპირატესობა ჰქონდათ (3-1, სამივე გოლი ბატისტუტამ გაიტანა), და გახდნენ კიდეც ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერები. თურმე ნუ იტყვით, ისინი ამ პოზიციაზე არა ყოფილან... 1969 წლის შემდეგ! ერთი პირადი მიღწევა ამ მატჩში ტრაპატონისაც ჰქონდა: ეს იყო მის მიერ მოგებული 326-ე მატჩი სერია „A“-ში, რითაც მან ნერეო როკოს რეკორდი გაიმეორა (და უკვე შემდეგ მატჩში „უდინეზეს“ დამარცხებით 1-0 გაასწრო მას).

ზედიზედ 4 მოგება მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში უკვე გარკვეული სენსაცია იყო. მართალია, ლიდერმა წააგო მეხუთე შეხვედრა სტუმრად „რომასთან“ 1-2, მეტად დრამატული ბრძოლის შემდეგ, თუმცა ბატისტუტას გოლის წყალობით მატჩის დამთავრებამდე 3 (!) წუთით ადრე მიჰყავდა ანგარიში. ზოგმა სპეციალისტმა დიდი ქებით მოიხსენია „რომას“ მწვრთნელი, ჩეხი ზდენეკ ზემანი, რომელმაც სწორედ საჭირო მომენტში ჩართო ბრძოლაში ახალი ძალები: ალენიჩევი (89-ე წუთზე საპასუხო ბურთის ავტორი) და არგენტინელი ბარტლეტი (რომლის გადაცემითაც ტოტიმ ზუსტად ბოლო წუთზე გადამწყვეტი გოლი გაიტანა). რა არ ხდება ფეხბურთში!

ამ წაგების შემდეგ ფლორენციელებს სულაც არ გაუტეხიათ იხტიბარი: დებიუტანტ „სალერნიტანას“ მძიმე მარცხი — 4-0 მიაყენეს. ამასთან, ორ-ორი გოლი ედმუნდომ და ბატისტუტამ გაიტანეს. ამ მრისხანე დუეტს ახლა ყველა უფრთხის.

აი, მეშვიდე ტურში კი „ფიორენტინამ“ პირველად დაკარგა (დროებით!) ლიდერობა. იგი სტუმრად თამაშობდა პარმაში, სადაც მიმომხილველთა თქმით, ერთმანეთს დაუპირისპირდა ჩემპიონატში უძლიერესი (ცხადია „ფიორენტინას“) თავდასხმა და უძლიერესი დაცვა, სადაც განსაკუთრებით გამოირჩევიან ლილიან ტიურამი და ფაბიო კანავარო. ექსპერტებმა უსაყვედურეს ტრაპატონის, რომ მან ამ ჩემპიონატში პირველად აიღო ხელი გუნდისათვის დამახასიათებელ შეტევით ტაქტიკაზე და (ასეთი თავდასხმებით!) დაცვითი ვარიანტი აირჩია. „პარმამ“ ერნან კრესპოს გატანილი ორი გოლის წყალობით მოიგო მატჩი — 2-0, პირველ ადგილზე კი „იუვენტუსმა“ გადაინაცვლა, რომელმაც შინ სძლია გენუის „სამპდორიას“ 2-0 (ორივე გოლი ფილიპო ინძაგის ანგარიშზეა).

„იუვეს“ ლიდერობა მართლაც დროებითი აღმოჩნდა. მერვე ტურში იგი ქალაქ უდინეში ფრეს (2-2) დასჯერდა „უდინეზესთან“, „ფიორენტინამ“ კი მძიმე მარცხი — 4-1 აგემა „ვენეციას“ და ისევ პირველ ადგილზე გადავიდა, ამის შემდეგ მართლაც რომ მოულოდნელი იყო „სკუადრა ვიოლას“ მარცხი — 2-4 საკმაოდ უფერულ „პიაჩენცასთან“ (იტალიური მასშტაბებით, რა თქმა უნდა!), მაგრამ მისი მდევარი „იუვენტუსიც“ დამარცხდა სტუმრად 0-2 „რომასთან“, ისე რომ, „ვიოლას“ ერთპიროვნული ლიდერობა არ დაუკარგავს.

რაც შეეხება შაბათსა და კვირას ჩატარებულ მეათე ტურს, აქ „ფიორენტინამ“ მეტად მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო მილანის „ინტერთან“ — 3-1, 21 ქულა მოაგროვა და უკვე სამი ქულით ჩამოიტოვა უახლოესი მდევრები.

ჯერ, რა თქმა უნდა; ყველაფერი წინ არის, მაგრამ, ცხადია, რომ „სკუადრა ვიოლა“ 1997-98 წლების ჩემპიონატის შედეგებს არ უნდა დასჯერდეს. ტრაპატონი სრული რეაბილიტაციისკენ მიისწრაფვის, წინა და შუა ხაზი მეტისმეტად ძლიერია, გუნდი მწვავედ, შემტევი სტილით თამაშობს (7 მოგება და 3 წაგება!). მართალია, ზოგი სპეციალისტი გამოთქვამს აზრს, რომ „ფიორენტინა“ ბოლომდე ვერ გაუძლებს (რატომ?) და მას „გრანდები“ გადაასწრებენ. ვინ იცის?!

ახლა ლიდერს 3 ქულით ერთბაშად სამი გუნდი ჩამორჩება — 18-18 ქულა მოაგროვეს „იუვენტუსმა“, „მილანმა“ და „რომამ“. მარჩელო ლიპის დიდი თავსატეხი გამოუჩნდა — „იუვენტუსში“ ხან ვინ მიიღებს მძიმე ტრავმას და ხან ვინ. რამდენიმე მატჩი გამოტოვა ზინედინ ზიდანმა, დიდი ხნით გამოაკლდა გუნდს ალესანდრო დელ პიერო, რაც განსაკუთრებით მტკივნეულია. უიმისოდ ფილიპო ინძაგის, რომელიც თითქოს ძალიან კარგად თამაშობს (5 გოლი გაიტანა), გაუჭირდება ახალი წარმატებების მიღწევა. „რომა“ ადრინდელ ჩემპიონატში მეოთხე იყო და ახლაც ძალიან კარგად გამოიყურება. პრინციპულ მატჩში „იუვენტუსთან“, რომლის ზოგ ფეხბურთელს „რომას“ მწვრთნელი ზდენეკ ზემანი აკრძალული პრეპარატების გამოყენებას უკიჟინებს, ძალიან კარგად თამაშობდნენ ბრაზილიელი პაულო სერჯიო, ფრანგი ვენსან კანდელა, ფრანჩესკო ტოტი. „მილანი“, ყოველ შემთხვევაში, გაცილებით უკეთ გამოიყურება, ვიდრე წინა სეზონში, კარს დაუბრუნდა მრავალნაცადი სებასტიანო როსი, არ დავიწყებია „ხელობა“ „უდინეზედან“ გადმოსულ ოლივერ ბირჰოფს (5 გოლი).

და, ბოლოს, რამდენიმე სიტყვა მილანის „ინტერის“ შესახებ, რომელსაც 10 ტურის შემდეგ მხოლოდ 14 ქულა (4 მოგება, 2 ფრე, 4 წაგება) აქვს. ჯერ შეიძლება, ბევრი რამ არ არის დაკარგული, მაგრამ ის კი ცხადია, რომ გუნდი ნამდვილ ლაზარეთად იქცა. ლუიჯი სიმონის მთავარი სატკივარი, გასაგებია, რონალდოა. ამდენი უსიამოვნების შემდეგ როგორც იყო დაიწყო თამაში ბრაზილიელმა, როდესაც სრულიად გამიზნულად ჯერ კიდევ მოუშუშებელ მუხლში „უთავაზეს“ და საავადმყოფოში დააბრუნეს. დიდ იმედებს ამყარებდნენ 20 წლის ნიკოლა ვენტოლაზე და ისიც დაშავდა, ხანგრძლივი დროით (ამბობენ, ნახევარი წლით!) გამოვიდა მწყობრიდან. არაერთი თამაში გამოტოვა ჯორკაეფმა. ახლა აშკარა შეცდომებით თამაშობს დაცვა, რომელიც აშკარად გაძლიერებას მოითხოვს. ერთადერთი, რომელიც ჯერჯერობით არ დაშავებულა, ეს ჩილელი ივან სამორანოა, თავით თამაშის დიდი ოსტატი. ამ გაჭირვებაში გუნდს დაუბრუნდა იტალიელი ტიფოზების საყვარელი ფეხბურთელი, არტისტული რობერტო ბაჯო.

10 ტური 34-იან მარათონში შეიძლება ბევრი არ იყოს, მაგრამ ზოგ კლუბში განგაშის ზარი უკვე გაისმა.

გივი თორელი

## ჭადრაკი

## ცნობები ფიდეს სამდივნოდან

GENS UNA SUMUS

● როგორც ფიდეს სამდივნო იუწყება, მორიგი საერთაშორისო ოლიმპიადა 2000 წელს სტამბოლში (თურქეთი) გაიმართება, 2002 წელს კი ბლედში (სლოვენია). 2004 წლის ოლიმპიადის ჩატარება სურთ ესპანეთს, ნიგერიასა და ინდოეთს.

● 1999 წლის ივლისში უნდა გაიმართოს ევროპის მორიგი გუნდური პირველობა. მისი ჩატარება ინგლისს სურს.

● ჩინეთის საჭადრაკო ფედერაციამ სურვილი გამოთქვა მოაწყოს მატჩი ქალთა მსოფლიო პირველობაზე მსოფლიო ჩემპიონ ჟუჟა პოლგარსა (უნგრეთი) და პრეტენდენტ სიუ ჟუნს (ჩინეთი) შორის. შეჯიბრების ჩატარების სავარაუდო ადგილია ქ. შენიანი.

● მომდევნო მსოფლიო ჩემპიონატი 20 წლამდე გოგონებსა და ჭაბუკებს შორის ჩატარდება ერევანში. 1999 წლის 16 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე. ერევანშივე გაიმართება ასეთივე მსოფლიო ჩემპიონატი 2000 წლისთვის, 17 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე.

● მსოფლიო ჩემპიონატები (10-18 წლამდე გოგონებსა და ჭაბუკებს შორის) ჩატარდება ოროპეზა დელ მარში (ესპანეთი) 1999 წლის ოქტომბრის მიწურულიდან ნოემბრის პირველ ნახევრამდე.

● მსოფლიო ჩემპიონატი სენიორებს შორის ჩატარდება 1999 წლის 27 დეკემბრიდან 2000 წლის 10 იანვრამდე, გლადენბახში (გერმანია).

● 1998 და 1999 წლების მსოფლიო ჩემპიონატები მოყვარულთა შორის გაიმართება ჰასტინგსში (ინგლისი).

● მსოფლიო ჩემპიონატი ქალთა შორის პირველად გაიმართება ნოკაუტ-სისტემით 1999 წლის შემოდგომაზე, სექტემბერში კიშინიოვში (მოლდოვა). 64 დიდოსტატი და ოსტატი მიიღებს მონაწილეობას, საპრიზო ფონდი კი ნახევარი მილიონი დოლარია. მასში მონაწილეობისათვის პერსონალური მიწვევა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტებს გაეგზავნებათ, ყველა დანარჩენი კი შესარჩევ ზონალურ ტურნირებში ითამაშებს.

ჯერჯერობით კი ფიდეს ნამდვილი თავსატეხი გაუჩნდა: ნათელი არ არის, აპირებს თუ არა მსოფლიო ჩემპიონი ჟუჟა პოლგარი (უნგრეთი) თავისი წოდების დაცვას, თუ საჭირო გახდება რაიმე სხვა შეჯიბრების მოწყობა. ჯერჯერობით კი ჟუჟა არც ჰოს ამბობს და არც არას.

## გარი კასპაროვი — ანატოლი შჩარანსკი 0:1

ისრაელის მოქალაქე ბორუხ ბარკაი ცნობილია ავტოგრაფების უნიკალური კოლექციით. მას სამი ათასი ავტოგრაფი აქვს. ვისგან აღარ აუღია: ალბერტ აინშტაინისაგან, სალვადორ დალის, მარკ შაგალის, მარლენ დიტრიხისაგან, გნებავთ, ჩვენი თანამედროვეების — ნურიევის, პლისეცკაიას, ევტუშენკოს და სხვებისაგან. ეს ავტოგრაფები კოლექციონერს წერილებზე, სურათებზე, ნოტებზე, დოკუმენტებზე, წიგნებზე წააუწერეს. ამ კოლექციას ბარკაი უკვე 60 წელია ადგენს, მას შემდეგ, რაც რიგა დატოვა და ისრაელში დასახლდა. ახლა კი იგი 86 წლისაა.

საინტერესოა, რომ ბარკაის ავტოგრაფზე უარი ერთადერთმა კაცმა უთხრა — მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა. იგი ისე გაამწარა იერუსალიმში ერთდროული თამაშის სეანსში ანატოლი შჩარანსკისთან (ისრაელელი მინისტრი, ადრე კი ცნობილი მოსკოველი დისიდენტი) დამარცხებამ, რომ ბარკაის არც კი შეხედა, ადრე დანიშნული პრესკონფერენცია გააუქმა და დაუყოვნებლივ დატოვა შენობა.

## ჩოგბურთის ამბები

### ძირს უთხრის

როგორც გერმანული პრესა იუწყება, ბორის ბეკერი აპირებს ჩოგბურთელთა საერთაშორისო ორგანიზაციის ჩამოყალიბებას, რომელიც ატპ-ს დაუპირისპირდება. ამჯერად მას მოლაპარაკება აქვს მთელ რიგ საერთაშორისო ტურნირების დირექტორებთან, რომლებსაც სურთ ატპ-სთან კავშირის გაწყვეტა და ახალ კავშირში შესვლა. როგორც ატპ-ს აღმასრულებელმა დირექტორმა მარკ მაილზმა განაცხადა, მას საერთოდ არ აინტერესებს ახალი ორგანიზაციის ჩამოყალიბების გეგმები.

### ჰინგისის გამარჯვება

ნიუ-იორკში დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ოლიმპიური ჩემპიონი ამერიკელი ლინდსეი დევენპორტი და ამჯერად მეორე ჩოგანი, რომელიც ბოლო ორი წელია უძლიერესად ითვლებოდა — შვეიცარიელი მარტინა ჰინგისი. ნახევარფინალში დევენპორტმა მოუგო ლეგენდარულ შტეფი გრაფს (გერმანია), რომლის საბრძოლო მზადყოფნა მკვეთრად გაუმჯობესდა, ჰინგისმა კი დაამარცხა ირინა სპირლეა (რუმინეთი).

ფინალური მატჩი ჰინგისის გამარჯვებით დასრულდა (4 სეტში), მაგრამ დევენპორტი მაინც ინარჩუნებს მსოფლიო რეიტინგში პირველ ადგილს.

### პატრიკ რაფტერი — წლის ვარსკვლავი

ამიერიდან ჩოგბურთის გულშემატკივრებს საშუალება აქვთ ინტერნეტით მიმართონ თავიანთ საყვარელ მოთამაშეებს. უკვე მილიონზე მეტმა ქომაგმა სპეციალური გამოკითხვის შედეგად მიიჩნია ავსტრალიელი პატრიკ რაფტერი „წლის ვარსკვლავად".

რაც შეეხება ქალებს, აქ უმრავლესობას საუკეთესოდ ლინდსეი დევენპორტი (აშშ) მიაჩნია. მას „წლის მოთამაშის" წოდება უნდა მიენიჭოს და პრიზი — „ალმასის ვისი".

მონიკა სელეში მიჩნეულია საუკეთესოდ იმ მოთამაშეებს შორის, ვინც ჩოგბურთს დაუბრუნდა. შტეფი გრაფი ჩაითვალა ყველაზე დიდი ალტაცების მომგვრელ ჩოგბურთელად, მარტინა ჰინგისი და იანა ნოვოტნა — ყველაზე უკეთეს წყვილად, სერენა უილიამსი — წლის უძლიერეს ახალბედად, პატი შნაიდერი — ყველაზე წინ წაწეულ ახალგაზრდა მოთამაშედ.

## TV პროგრამა

## წარმოგიდგენთ მომავალი კვირის ასტროლოგიურ პროგნოზს

**ვერძი (21.3 – 20.4)**
სწავლისთვის, დისკუსიებისა და მოხსენებებით გამოსასვლელად, სტატიებისა და რეფერატების დასაწერად საუკეთესო დროა. მოაწესრიგეთ საზღვარგარეთული კონტაქტები და უცხო ენების ცოდნა მაქსიმალურადაც გაიმყარეთ. „უცხოურ" ან მაღალინტელექტუალურ დონეზე სიყვარულის ჩასახვის ალბათობა გელით. ყურადღება მიაქციეთ მშვილდოსნებს. მარტის თვეში დაბადებულ ვერძებთან „სასწორის ტრფიალსაც" არ გამოვრიცხავთ.

**კურო (21.4 – 20.5)**
დროა საკუთარი თავის გარდაქმნასა და ეგოიზმის აღმოფხვრაზე დაფიქრდეთ. სასიყვარულო და ფინანსურ სფეროებში კონფლიქტი ან აშკარა საფრთხე გელით. ანდერძთან, დაზღვევასა და ვალებთან დაკავშირებული საკითხები თავს წამოყოფენ. ეცადეთ, ყველაფერი დროზე მოაგვაროთ. ყოფიერების საიდუმლოებების ამოხსნის სურვილი შემოგიტევთ. განზე არც სექსუალური ვნებები დაგრჩებათ.

**ტყუპები (11.5 – 21.6)**
საქმიან პარტნიორებთან და მეუღლესთან ურთიერთობები გირთულდებათ. თქვენ საკუთარი პოზიციის თავსმოხვევას ცდილობთ, მოწინააღმდეგე მხარე საპასუხო დარტყმით გპასუხობთ და კონფლიქტიც სახეზეა. მის დარეგულირებას მხოლოდ დიპლომატიითა და ამბიციებზე უარის თქმით შეძლებთ. ყველაზე მძლავრი იარაღი კი სიყვარული იქნება. საერთოდაც, ახლა კარგი იქნება, თუ ცოტა ხანს საკუთარ თავს დაივიწყებთ და სხვებს მოემსახურებით.

**კირჩხიბი (22.6 – 22.7)**
სამუშაო და სწავლა დაძაბულ რიტმში ცხოვრებას გაიძულებთ, „ტვინის ჭყლეტაც" გამუდმებით გიწევთ. რომ არ გადაიღალოთ, დამხმარეები კოლეგებში (განსაკუთრებით ახალგაზრდებში) ეძებეთ. ჯანმრთელობის მისახედად დრო აუცილებლად უნდა გამონახოთ: ვარჯიში, წყლის პროცედურები, სირბილი, რელაქსაცია მშვიდი მუსიკის თანხლებით თქვენთვის მისწრება იქნება. სამსახურში „ამურის" ისრები და ფლირტია მოსალოდნელი.

**ლომი (23.7 – 23.8)**
ახლა ლომები სცენაზე გამოსულ მსახიობებს ანდა ანც ბავშვებს გვანან: მათ გართობის, თამაშის, სპორტის, მუსიკისა და ათასნაირი თავგადასავლების დრო დაუდგათ. განსაკუთრებით სიყვარული გაგათბობთ და გაგახალისებთ. ზოგიერთს ვნებიანი, თუმცა, ხანმოკლე გატაცებებიც ექნება. სამაგიეროდ, შემოქმედებითი აღმაფრენა გვერდს არავის აუვლის. სხვათა შორის, ეს შესაძლოა, მარტო პოეზიაში კი არა, ფულთან დაკავშირებულ აფიორებშიც გამომჟღავნდეს.

**ქალწული (24.8 – 23.9)**
თქვენი ცხოვრების ფონს ახლობლები, ოჯახი და მეუღლე განსაზღვრავენ. ოჯახურ ატმოსფეროს მშვიდს ვერ უწოდებ — ბინის, სხვა უძრავი ქონებისა თუ მემკვიდრეობის გამო ხშირი კამათია მოსალოდნელი. თავს განსაკუთრებით მშვილდოსნები ან თევზები გამოიდებენ. ასეთ შემთხვევებში განზე დგომა გიჯობთ, რადგან დისკუსიებში ჩაბმა სასიკეთოს არაფერს მოგიტანთ. საკუთარი აზრის დაცვას კი უთუოდ მტკიცედ გირჩევთ.

**სასწორი (24.9 – 23.10)**
თქვენს ირგვლივ — სამსახურში, შინ — მყოფ ადამიანებს ყურადღებით დააკვირდით, ნაცნობები გაიხსენეთ, ძველი კონტაქტები განაახლეთ. რაც შეიძლება მეტ — უშუალოდ, სატელეფონო, წერილობით ურთიერთობას გირჩევთ. ოღონდ, ყოველი სიტყვა ზედმიწევნით აწონ-დაწონეთ და გაიაზრეთ. მშვილდოსნებთან ერთად მოგზაურობა სასარგებლო იქნება, ეცადეთ ცოდნის მარაგიც შეივსოთ.

**მორიელი (24.10-22.11)**
ღრიანკალების ფიქრი ფულს დასტრიალებს. გარშემომყოფებთან ურთიერთობასაც მხოლოდ გამორჩენის თვალსაზრისით განიხილავენ. წარმატებაში ხელის შეწყობა თევზებს შეუძლიათ.
არც მშვილდოსნების რჩევები გაწყენდათ. გამოთქმა — „ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი", რაც შეიძლება, ხშირად გაიხსენეთ. ვნებებს ნუ აჰყვებით, რისკზე ანგარიშით წადით. დიდია მემკვიდრეობის მიღების ალბათობა.

**მშვილდოსანი (23.11 – 21.12)**
ენერგიით იმდენად სავსე ხართ, რომ ხანდახან „წალეკვითაც" კი იმუქრებით. არ გამოვრიცხავთ ექსტრაორდინარულ საქციელებს. სხვის ხარჯზე თვითდამკვიდრების სურვილიც ხშირ-ხშირად გიპყრობთ. აგრესიულ გამოხდომებიც გექნებათ. ამას ნოემბერ-დეკემბრის ზღვარზე დაბადებული მშვილდოსნები განსაკუთრებით უნდა ერიდონ. საეჭვო კომპანიებში მგზავრობა სასურველი არ არის. დეკემბრის მშვილდოსნებს სასიყვარულო ისტორიებიც არ ასცდებათ.

**თხის რქა (22.12 – 20.1)**
გაუთავებელი ჭორებსა და კულისებსმიღმა ინტრიგების მიუხედავად, სიმშვიდე და თავშეკავება გმართებთ. ჭორებს განსაკუთრებული მონდომებით მშვილდოსნები გაგივრცელებენ. დეკემბრის თხის რქებს ხელმძღვანელობასთან (განსაკუთრებით სასწორებთან) შეხლა-შემოხლაც ელით. „იანვრისებს" კი ნათესავი ვერძები შეაღონებენ. სამაგიეროდ, ერთსაც და მეორესაც კეთილ ანგელოზად თევზები მოევლინებიან. მათთან მოგზაურობა მხოლოდ წარმატების მომტანია.

**მერწყული (21.1 – 19.2)**
სახარბიელო პერიოდი დგება. საკუთარი გეგმების განსახორციელებლად სპონსორებსა და თანამზრახველებსაც კი გამონახავთ. ამჟამად კი, ძირითადად, მეგობრები გეხმარებიან. ზოგჯერ კი ურთიერთობას „სასიყვარულო" მომენტიც ემატება. ყურადღება მიაქციეთ მშვილდოსნებსა და სასწორებს. იანვარ-თებერვლის ზღვარზე დაბადებულთა ცხოვრება, შესაძლოა, მკვეთრადაც შეიცვალოს.

**თევზები (20.2 – 20.3)**
ვარსკვლავები თავბრუდამხვევ კარიერას გიწინასწარმეტყველებენ. გულ-ხელს ნუ დაიკრეფთ. გონება დაძაბეთ, ახალი კონტაქტები დაამყარეთ, „საქმეში" საკუთარი მომხიბვლელობაც უთუოდ „ჩართეთ". თანდაყოლილი მოქნილობა, ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებთან ურთიერთობებში ტონის მიმცემად გამოიყენეთ. ზოგიერთის პროფესიული ასპექტები სასიყვარულოსაც შეერწყმის, რაც მშვილდოსნების მონაწილეობის გარეშე არ მოხდება.

## იბრაჰიმ სარჯველაძე



ქართველ ვეტერან ფეხბურთელთა რიგებს კიდევ ერთი შესანიშნავი სახელი გამოაკლდა — გარდაიცვალა იბრაგიმ სარჯველაძე. იგი მეტეორივით შემოიჭრა თბილისის „დინამოში" და ათი წელიწადი ღირსეულად ატარა კლუბის მაისური.

ფეხბურთის ძველ ქომაგებს კი ეს ფეხბურთელი 1946 წლის ზაფხულში ჩვენს დედაქალაქში იუგოსლავიის „პარტიზანის" ადგილობრივ დინამოელებთან შეხვედრის შემდეგ დაამახსოვრდათ. თამაშის წინ მასპინძლებს დაცვის ხაზში მართლაც გამოუვალი მდგომარეობა შეექმნათ, გამოცდილი ბეკის არჩილ კიკნაძის ავადმყოფობის გამო. საქმე იქამდე მივიდა, რომ გადაწყვიტეს რუსეთის რომელიმე ძლიერი მოთამაშით გაემაგრებინათ კარის მისადგომები.

იღბლად, რომელიღაც დინამოელმა, რომელსაც ენახა ბათუმელი ი. სარჯველაძის თამაში, განუცხადა გუნდის ხელმძღვანელობას: „რად გინდათ უცხო ფეხბურთელის ჩამოყვანა, როცა გვყავს მშამზარეული მცველი სარჯველაძე, გამოგვადგება!"

ი. სარჯველაძე იმ მატჩში ნამდვილი აღმოჩენა იყო, თუნდაც იმ მხრივ, რომ მის მოქმედებას ისეთ მეტოქეთა წინააღმდეგ, რომელთაც საერთაშორისო შეხვედრების დიდი გამოცდილება ჰქონდათ, დებიუტანტის ნიშანწყალიც არ აჩნდა, ღირსეულად გაუსწორდა თავის ვიზავის, რითაც იმ დღიდან მტკიცედ დამკვიდრდა რესპუბლიკის უძლიერეს გუნდში".

ი. სარჯველაძემ იმ ათი სეზონის განმავლობაში ჩაატარა 168 მატჩი უმაღლეს ლიგაში, მინიჭებული ჰქონდა სპორტის ოსტატის წოდება, იყო სსრ კავშირის ჩემპიონატის ორგზის ვერცხლის, სამგზის ბრინჯაოს პრიზიორი, მონაწილეობდა სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალში, შედიოდა ქვეყნის 33 უძლიერეს ფეხბურთელთა რიცხვში. იგი მწვანე მინდორზე ღირსეულად უმკლავდებოდა საბჭოთა ფეხბურთის უძლიერეს ფორვარდებს, რომელთა წინააღმდეგ არაერთ დასამახსოვრებელ „დუელში" გამოსულა გამარჯვებული.

იბრაგიმ სარჯველაძის ხსოვნა დაუვიწყარი იქნება ქართული ფეხბურთის მრავალათასიან გულშემატკივართათვის, რომლებსაც იგი სარბიელზე უნახავთ.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი,
საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

გაზეთ „ლელოს" რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული ანბანის ცნობილი მეჩუქურთმე, შრიფტოლოგი

**ანტონ დუმბაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



8



1



6





18

**თარაზულად:** 5. „სკუადრა აძურას" ნახევარმცველი, 7. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 8. წარსულში ცნობილი ჩეხოსლოვაკიელი ტანმოვარჯიშე ქალი *(ფოტო)*, 11. აზიის ფეხბურთის კონფედერაციაში შემავალი ქვეყანა, 12. წარსულში ჭირვეული ჩრდილოირლანდიელი ფეხბურთელი, 13. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 16. „იუვენტუსის" ნახევარმცველი, 17. ბადმინტონის სათამაშო ბურთი, 21. აშშ-ს საფეხბურთო ნაკრების მეკარე, 22. ცურვის სახეობა, 23. სატანვარჯიშო იარაღი, 26. წარსულში გერმანიის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი, 27. ტერმინი ტანვარჯიშში, 28. უკრაინის საფეხბურთო კლუბი.

**შვეულად:** 1. წარსულში სახელგანთქმული პორტუგალიელი ფეხბურთელი *(ფოტო)*, 2. ცნობილი საციგურაო ბაზა ყაზახეთში, 3. 80-იან წლებში კიევის „დინამოს" ფეხბურთელი, ნახევარმცველი, 4. საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების მცველი, 6. „არსენალის" ფეხბურთელი *(ფოტო)*, 9. წარსულში ცნობილი ქართველი კალათბურთელი, 10. რუსი საფეხბურთო მწვრთნელი, 14. ცნობილი კანადელი ჰოკეისტი, 15. „ტოტენჰემიდან" დათხოვნილი საფეხბურთო მწვრთნელი, 18. ახლო წარსულში ინგლისის ნაკრების ფეხბურთელი *(ფოტო)*, 19. სახელგანთქმული იუგოსლაველი კალათბურთელი, რომლის სახელობის თასიც თამაშდება, 20. სომხეთის საფეხბურთო კლუბი, 24. ცრუ მოძრაობა ფეხბურთში, 25. ცნობილი თურქი ფეხბურთელი.

## საჭადრაკო ამოცანა

ფ. მამულია



**შამათი 2 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. ლb3! მუქარა 2. ლg8+
1. ...ეa8 2. ლg8+ ე:g8 3. მg6+მფh7
4. მe5+ მფh6 (მფh8) 5. მf7X.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული ფოტოკროსვორდის პასუხები:**
მარცხნიდან — ედმუნდო (ბრაზილია), ერნანდესი (მექსიკა), რივალდო (ბრაზილია).

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.